ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი
№ 271 (11882)

სამშაბათი, 22 ნოემბერი, 1960 წ.

ფასი 20 კაპ.

ბ-ნ როკუელ კენტს

პატივცემულო ბ-ნო კენტ!

მხურვალე სიმპათიის გრძნობით შევიტყე თქვენი კეთილშობილური გადაწყვეტილება, რომ საბჭოთა ხალხს საჩუქრად უძღვნათ ის ნაწარმოებნი, რომლებიც შექმნილია შემოქმედებითი შრომის მრავალი წლის განმავლობაში. მოტივები, რითაც თქვენ ხელმძღვანელობდით, გულითად და დიდ პატივისცემას იწვევს, ისინი გასაგები და მახლობელია საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებიც დიდად აფასებენ თვითეულ ნაბიჯს მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში.

მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ამ მოტივებს სწორად გაიგებს ამერიკელი ხალხიც, რადგანაც თქვენი საჩუქარი — ეს არის ნაბიჯი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთგაგების გზაზე.

სულითა და გულით გისურვებთ მრავალი წლის ჯანმრთელობასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი პლანეტის ბედნიერებისა და სამართლიანობისათვის კეთილშობილურ საქმიანობაში.

ნ. ს. ხრუშჩოვი.

19 ნოემბერი

ნ. ს. ხრუშჩოვმა და ჯ. ნერუმ დეპეშები გაუცვალეს ერთმანეთს

მოსკოვი, 19 ნოემბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მისალოცი დეპეშა გაუგზავნა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ჯ. ნერუს მისი დაბადების დღის აღსანიშნავად.

ნ. ს. ხრუშჩოვი უსურვებს ჯ. ნერუს ჯანმრთელობას, წარმატებებსა და ბედნიერებას. იგი სურვილს გამოთქვამს, რომ ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხებს შორის არსებული კეთილი ურთიერთობა, ისევე როგორც მისი და ჯ. ნერუს პირადი ურთიერთობა, დღითიდღე მტკიცდებოდეს ორივე ქვეყნის ხალხთა სასიხარულოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საპასუხო დეპეშაში ჯ. ნერუ წერს, რომ იგი დიდად აფასებს პირად მეგობრობას ნ. ს. ხრუშჩოვთან და ინდოეთისა და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას. ინდოეთის პრემიერ-მინისტრი რწმენას გამოთქვამს, რომ ეს მეგობრობა ხელს შეუწყობს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს, რომლის დიდი ერთგულია ორივე ქვეყანა.

ქუთაისის სახალხო ოპერის წარმატება თბილისში

საიუბილეო ოლიმპიადა

ერთგან ზაქარია ფალიაშვილს ნათქვამი აქვს, ჩემი ოპერები ხალხმა შთამაგონა და ჩემი სურვილი იყო კვლავ ხალხისათვის დამებრუნებინა ისინი, ჭეშმარიტად ხალხის გულისთქმით ამღერებულიო... ნამდვილად ასე იყო გუშინ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. დაიწყო საბჭოთა საქართველოს მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილი მხატვრული თვითმოქმედების მეცხრე რესპუბლიკური ოლიმპიადა.

სცენაზეა საქართველოს მეორე გულის, სავარდო და სამაისო ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრის კოლექტივი. გენიალური ქართველი კომპოზიტორის უკვდავ ნაწარმოებს „დაისს" ასრულებს ხალხი, არა პროფესიული მსახიობები, არამედ ქუთაისის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგები, ქალაქის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენი.

ფარდის ახდამდე, კომპოზიტორმა ოთარ თაქთაქიშვილმა, თბილისის თეატრალურ-მუსიკალური საზოგადოების სახელით გულთბილად მიულოცა სახალხო ოპერის კოლექტივს ოლიმპიადის დაწყება.

ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრი, რომელმაც ოპერა „დაისით" დაიწყო არსებობა, ერთ-ერთი პირველი სახალხო ოპერის თეატრია საბჭოთა კავშირში. „დაისის" დადგმა განახორციელა საქართველოს სახალხო არტისტმა დ. მჭედლიძემ, დირიჟორია თ. კობახიძე, მხატვარი — შ. ჩიქოვანი, ვოკალური ხელმძღვანელი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი პ. ამირანაშვილი, ქორეოგრაფი — ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ვარშავის V მსოფლიო ფესტივალის ლაურეატი მ. ლომთათიძე.

აღფრთოვანებული მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს შემსრულებლებს — ინჟინერ ი. კაპანაძეს (მალხაზი), პედაგოგებს თ. ნიკოლაძეს (მარო), ა. მამუკელაშვილს (კიაზო), ს. კუხიანიძეს (ცანგალა), მ. ნიქაბიძეს (ნანო).

სპექტაკლს დაესწრნენ ამხანაგები **ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, მ. მ. ლელაშვილი**, რომლებმაც წარმოდგენის დამთავრების შემდეგ გულთბილად მიულოცეს სახალხო ოპერის თეატრის კოლექტივს დამსახურებული წარმატება.

• • •

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ, ჩვენმა კორესპონდენტმა თხოვნით მიმართა კულტურის ცნობილ მოღვაწეებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი ქუთაისის სახალხო ოპერის ამ სპექტაკლზე.

აი რა განაცხადეს მათ:

• • •

ჩვენი ინტერვიუ

ვახტანგ ფალიაშვილი
ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე

უაღრესად სასიხარულო ამბავია, რომ ქუთაისელმა მშრომელებმა დაძლიეს მეტად რთული მხატვრული ამოცანა — სცენურად შეესხათ ხორცი ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „დაისისათვის". არ შემიძლია კმაყოფილებით არ აღვნიშნო დირიჟორ თ. კობახიძის ნამუშევარი. ამ ახალგაზრდა მუსიკოსს ნამდვილად დიდი შრომა გაუწევია მთელ დასთან ერთად.

გამახარა წარმოდგენის კარგმა სცენურმა გააზრებამ. ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრმა, რომელსაც არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, ნამდვილად გვიჩვენა შემოქმედებითი ძალა.

ვერა დავიდოვა
რსფსრ სახალხო არტისტი

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე გუნდმა, რომელიც მშვენივრად ჟღერდა მთელი წარმოდგენის მანძილზე. გულწრფელად მომეწონა მაროს, ნანოს, კიაზოსა და მალხაზის როლების შემსრულებლები. ისინი ღრმად გრძნობენ სახეს, კარგად მოძრაობენ სცენაზე და თუ თავიანთ თავზე კვლავაც ასეთი მონდომებით იმუშავებენ, უეჭველად ბევრს მიაღწევენ.

ილიკო სუხიშვილი
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ნამდვილად აღტაცებული ვარ. ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრმა „დაისის" დადგმით დაამტკიცა, თუ რაოდენი სიხარულის მოტანა შეუძლია ხელოვნების ჭეშმარიტ სიყვარულს.

ქების ღირსია ქორეოგრაფი მ. ლომთათიძე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „ფარიკაობა" მეორე მოქმედებაში.

ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრი თითქმის არსად არ არღვევს ფალიაშვილის ოპერის საერთო ქსოვილს, სტილს. შრომისა და მონდომების გარდა, ქუთაისელმა მშრომელებმა რთული საოპერო ნიჭი და უნარიც აჩვენეს მაყურებელს.

ბათუ კრავეიშვილი,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.

მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. მოხიბლული ვარ შესანიშნავი გუნდით, რომელსაც არ აკლდა არც სიახლე და არც შინაგანი სიმშვიდე. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ტენორმა ი. კაპანაძემ, განსაკუთრებით „თავო ჩემოსა" და „გშორდები, მაროს" შესრულებით.

ნამდვილად კარგი იყო თ. ნიკოლაძის მარო, ა. მამუკელაშვილის კიაზო და ს. კუხიანიძის ცანგალა. მაყურებელი გრძნობდა ამ შემსრულებელთა ხმის სილამაზესაც და მარაგსაც.

ერთი სიტყვით, ქუთაისელებმა გაგვახარეს.

• • •

სურათზე: სცენა ქუთაისის სახალხო ოპერის თეატრის სპექტაკლ „დაისიდან". ი. კაპანაძე — მალხაზი, თ. ნიკოლაძე — მარო.

ფოტო **ბ. დადვაძისა**

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამხანაგი ხო ში მინი

21 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა კრემლში მიიღო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი ამხ. ხო ში მინი.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვსა და ამხ. ხო ში მინს შორის გაიმართა გულითადი, მეგობრული საუბარი. საუბარს დაესწრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ი. ვ. ანდროპოვი.

ფინეთის პრეზიდენტის საზეიმო შეხვედრა მოსკოვში

მოსკოვი, 21 ნოემბერი. (საქდესი). დღეს მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდნენ ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ურხო კალევა კეკონენი და მისი თანმხლები პირნი.

ლენინგრადის ვოგზალში, რომელიც მორთული იყო ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ფინეთის პრეზიდენტს შეხვდნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ი. მიქოიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი** და სხვა ოფიციალური პირნი.

შემხვედრთა შორის იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

საპატიო სტუმრის ჩამოსვლის გამო ლენინგრადის ვოგზლის ფრონტონზე გამოკიდებული იყო უ. კ. კეკონენის, ნ. ს. ხრუშჩოვისა და ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტები.

ვოგზალში ნ. ს. ხრუშჩოვმა და უ. კ. კეკონენმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

მოსკოვის ათასობით მშრომელი გულთბილად მიესალმებოდა მეგობარი სახელმწიფოს მეთაურს, როცა იგი საბჭოთა ხელმძღვანელებთან ერთად ვოგზლიდან მიდიოდა თავის რეზიდენციაში, რომელიც კრემლშია.

რით ხვდებით პლენუმს

ახლოვდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის დღე. რით ხვდება მ. ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა ამ დიდ მოვლენას?

ჩვენს კოლმეურნეობაში მეცხოველეობა ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ვალდებულება — რომ წელს სახელმწიფოს მივყიდოთ 600 ცენტნერი ხორცი და 1500 ცენტნერი რძე, უახლოეს ხანში შესრულდება. გასულ წელთან შედარებით თვითეულ ძროხაზე უკვე მივიღეთ 385 კილოგრამით მეტი რძე. წლის ბოლომდე ეს ციფრი გაიზრდება.

გადაჭარბებით შევასრულეთ ვალდებულება სიმინდის მოყვანის საქმეშიც. საშუალოდ ჰექტარზე მივიღეთ 30 ცენტნერი სიმინდი, ვალდებულება კი 25 ცენტნერს ითვალისწინებდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისადმი მიძღვნილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით კარგ შედეგებს აღწევენ მევენახეები ა. მჭედლიძე და ნ. საკოევი, მწველავი ა. მოსიაშვილი, მეხბორე ს. თაგაური და სხვ.

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგოს წევრები ნ. მოსიაშვილი — საკოლმეურნეო კედლის გაზეთის რედაქტორი, **ნ. ინაძე** — მწველავი, **ა. მაისურაძე** — კოლმეურნე.

ბოლნისის რაიონი.

ჩემი რესპუბლიკის დღე

40

უპატაკებენ სამშობლოს

ბათუმი, 21 ნოემბერი. (საქდესი). აჭარის სამრეწველო საწარმოთა მუშაკებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 40 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის და ვადაზე ცამეტი დღით ადრე გაანაღდეს საერთო პროდუქციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა. თვის ბოლომდე რესპუბლიკის მრეწველობა სამშობლოს მისცემს ათეულ მილიონობით მანეთის ზეგეგმით პროდუქციას.

ჭიათური, 19 ნოემბერი. (საქდესი). გელათის შახტის კოლექტივმა, რომელიც მონაწილეობას იღებს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში, მიაღწია ახალ წარმატებებს. კოლექტივმა ვადაზე თორმეტი დღით ადრე შეასრულა სათბობის მოპოვების თერთმეტი თვის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ქვანახშირის მოპოვება, გაუმჯობესდა მისი ხარისხი და შემცირდა თვითღირებულება.

შრომატევადი პროცესების მექანიზაციისა და ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირების შედეგად გელათელმა მეშახტეებმა დაზოგეს და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანეს ნახევარი მილიონი მანეთი.

შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა თვის ბოლომდე მისცეს სამშობლოს კიდევ 7 ეშელონი ქვანახშირი.

ცაგერის რაიონის მშრომელები ახალი წარმატებებით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს. ისინი ენერგიულად შრომობენ მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის. კარგად იმუშავეს რაიონის მეცხოველეებმა, რომლებმაც უკვე გადაჭარბებით გაანაღდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმები: ხორცისა — 106 პროცენტით, რძისა — 100,1 პროცენტით, კვერცხისა — 100,3 პროცენტით, ხოლო ყველა სახის ტყავნედლეულის მიყიდვისა — 100,1 პროცენტით.

აღსანიშნავია, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა დიდი გადაჭარბებით — 123 პროცენტით შეასრულეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის ზრდის წლიური გეგმა.

წელს რაიონში ხილის კარგი მოსავალი იყო. რაიონმა თესლოვანი და კურკოვანი ხილის სახელმწიფოსათვის მიყიდვის წლიური დავალება 131,5 პროცენტით შეასრულა.

სუფრის მშვენება

ხობი. (საკ. კორ.). ურთის მთის კალთები დაფარულია ოქროსფერი ნარინჯებით. აქ ათობით ჰექტარი მანდარინის პლანტაცია აქვთ გაშენებული ხეთის სტალინისა და ჭავჭავაძის სახელობის, ხამისკურისა და პირველი მაისის კოლმეურნეობებს. თვალს ხიბლავს, გულსახარებს ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლული პლანტაციები.

წელს ხელსაყრელი ამინდები არ დაუდგათ მეციტრუსეებს. გაზაფხულის ყინვებმა მნიშვნელოვნად დააზიანა მანდარინის ყვავილი. მაგრამ კოლმეურნეებმა გული როდი გაიტეხეს, დიდი შრომა გასწიეს, მზრუნველობით მოუარეს ყოველ ძირ მცენარეს და შეძლეს უხვი მოსავლის მიღება. ხობელი მეციტრუსეები სახელმწიფოს 120 ტონა მანდარინსა და 5 ათას ცალ ლიმონს ჩააბარებენ.

ხობელი მეციტრუსეები უკვე შეუდგნენ მანდარინის კრეფას. საამისოდ დროულად მოემზადნენ. ციტრუსების გადასამუშავებელი პავილიონი შეაკეთეს, ნაყოფის გადასაზიდად დაამზადეს 1,000 ცალი ყუთი, წესრიგში მოიყვანეს საჭაპანო და საავტომობილო ტრანსპორტი, შეაკეთეს გზები და ბოგირები, საკმაო რაოდენობით მოიმარაგეს ნაყოფის შესაფუთავი ქაღალდი და გადასაზიდი ტარა.

წელს ყველაზე მეტ მანდარინს ხეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ალ. როდონაია) ამზადებს. 45 ტონა მანდარინს გაუგზავნიან ამ სოფლის კოლმეურნეები მოსკოვისა და ლენინგრადის მშრომელებს. ხეთის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ნ. კოდუა) სახელმწიფოს 35 ტონა მანდარინის ხარისხოვან ნაყოფს მიჰყიდის. დიდი რაოდენობით ჩააბარებენ მანდარინს აგრეთვე ხამისკურის კოლმეურნეობა და ხეთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა.

კულტურის უნივერსიტეტი სიღნაღში

უდიდესი იყო ენთუზიაზმი და აღფრთოვანება, რაც სიღნაღის რაიონის მშრომელებში გამოიწვია კულტურის სახალხო უნივერსიტეტის გახსნის ამბავმა. ამ ნამდვილ დღესასწაულზე ჩამოვიდნენ რაიონის მკვიდრნი, სახელოვანი ადამიანები — აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, პროფესორები ა. გზირიშვილი, ი. მენთეშაშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. გოძიაშვილი, მწერლები ს. შანშიაშვილი და ს. ფაშალიშვილი, კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ. მათეშვილი, დოცენტები გ. ათანელიშვილი, ი. მოსეშვილი, ი. ნანობაშვილი და სხვები.

კულტურის სახალხო უნივერსიტეტის შექმნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა კულტურის რაიონულ სახლში, შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ზ. ბიძინაშვილმა. კულტურის სახალხო უნივერსიტეტის ამოცანებსა და მნიშვნელობაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი.

იგი აღნიშნავს, რომ ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში 25 კულტურის სახალხო უნივერსიტეტი არსებობს. მათმა ნაყოფიერმა მუშაობამ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმეში უკვე დადებითი შედეგი გამოიღო.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან აკადემიკოსი ა. ზურაბაშვილი, პროფესორები ა. გზირიშვილი და ი. მენთეშაშვილი, პოეტი ს. შანშიაშვილი. მათ რაიონის მშრომელებს აღუთქვეს, რომ უნივერსიტეტის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ. რაიონის ახალგაზრდობის სახელით სიტყვას ამბობს კომკავშირის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივანი ო. მანჯგალაძე, სიტყვით გამოვიდნენ კულტურის განყოფილების გამგე ი. სიმონიშვილი, სამკერვალო ფაბრიკის ფილიალის მუშა, სახალხო უნივერსიტეტის მსმენელი დ. ბეიტრიშვილი და სხვ.

დასასრულ რაიონის თვითმოქმედების ძალების მონაწილეობით გაიმართა კონცერტი.

ვლ. დავითაშვილი.

ოპერა ყამირის პირველ გაზაფხულზე

გულწრფელი, ნათელი, ლირიკული ნაწარმოები — გ. ჟუკოვსკის ოპერა საბჭოთა ახალგაზრდობაზე, ყამირის პირველ გაზაფხულზე ტ. შევჩენკოს სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა 20 ნოემბერს მეორედ უჩვენა მოსკოველებს დიდი თეატრის სცენაზე.

სპექტაკლი „პირველი გაზაფხული", რომელიც დადგა ახალგაზრდა რეჟისორმა ი. მოლოსტოვამ, არის მოთხრობა დღევანდელ დღეზე.

თეატრის სოლისტებმა ტ. პონომარენკომ, ლ. რუდენკომ, ბ. რუდენკომ, დ. გნატიუკმა, კიევის კონსერვატორიის სტუდენტმა ნ. კულაგამ თავი გვიჩვენეს საუცხოო მომღერლებად, ნიჭიერ მსახიობებად. მაყურებლები მხურვალედ უკრავდნენ ტაშს მათ, დირიჟორ ა. კლიმოვს, მხატვარ ვ. ლუდმილინს, რომელმაც დეკორაციებში გვიჩვენა ყამირი მიწების ფართო ტრამალები.

სპექტაკლს დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი კ. ე. ვოროშილოვი. დარბაზში იყვნენ აგრეთვე უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ს. სენინი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ო. ი. ივაშჩენკო და ა. დ. სკაბა.

(საკდესი).

სამახსოვრო მედალი ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავისათვის

ლენინგრადი, 19 ნოემბერი. (საკდესი). ზარაფხანაში დაამზადეს ლ. ნ. ტოლსტოისადმი მიძღვნილი ახალი სამახსოვრო მედალი.

მედლის წინა მხარეზეა უდიდესი რუსი მწერლის ბარელიეფური გამოსახულება და წრიული წარწერა „ლევ ტოლსტოი 1828-1910". მედლის უკანა მხარეზე ამოკვეთილია „ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავი".

დიდი მხატვარი, მშვიდობის მქადაგებელი

ლ. ნ. ტოლსტოის ხსოვნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა სსრ კავშირის დიდ თეატრში

★

„... **ლ. ტოლსტოიმ** შეძლო თავის ნაშრომებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შეძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში". ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ამ სიტყვებს ჩვენ ვიხსენებთ ახლა, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს დიდი რუსი მწერლისა და მოქალაქის გარდაცვალების 50 წლისთავს.

ლ. ნ. ტოლსტოის სახელი ჩვენი თანამედროვისათვის უწინარეს ყოვლისა ძვირფასია როგორც სახელი შესანიშნავი რეალისტი მწერლისა, რომელიც ამხილებდა კაპიტალისტური საზოგადოების სიმახინჯეებს, როგორც სახელი მწერლისა, რომლის შემოქმედებამ უსაზღვროდ გაამდიდრა და დაამშვენა კაცობრიობის მხატვრული ფასეულობანი.

19 ნოემბერს სსრ კავშირის დიდ თეატრში შეიკრიბნენ საბჭოთა საზოგადოებრიობისა და კულტურის წარმომადგენლები, უცხოელი მწერლები, რათა პატივი ეცათ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის ხსოვნისათვის.

სცენაზეა დაფნის რტოებით გარშემოვლებული ლ. ნ. ტოლსტოის უზარმაზარი პორტრეტი, უამრავი ცოცხალი ყვავილი. თარიღები — „1910" და „1960" გვახსენებენ, რომ ტოლსტოის გარდაცვალების შემდეგ უკვე ნახევარმა საუკუნემ განვლო. მაგრამ გენიაზე დრო თავის გამანადგურებელ ძალას ვერ ახდენს. შესანიშნავი მხატვრის ნაწარმოებები კვლავ აღაფრთოვანებენ მთელი დედამიწის ზედაპირზე მცხოვრებ ადამიანებს.

პრეზიდიუმში არიან ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის წევრები როკუელ კენტი, ალბერტ კანი — წევრები მშვიდობის მსოფლიო საბჭოსი, რომლის გადაწყვეტილებითაც აღინიშნება ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწენი, უცხოელი ლიტერატორები. აქ არიან მწერლის შვილიშვილები—სერგი სერგის-ძე, ილია ილიას-ძე და ვლადიმერ ილიას ძე ტოლსტოები, მისი მდივანი ნ. ნ. გუსევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ბ. გოლდენვეიზერი, რომელიც ახლოს იცნობდა ლ. ნ. ტოლსტოის.

საზეიმო სხდომა გახსნა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ლ. ს. სობოლევმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რუსული და მსოფლიო კულტურისათვის. იგი მიესალმა საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს.

მოხსენება „სიტყვა ტოლსტოის შესახებ" გააკეთა ლ. ნ. ტოლსტოის გარდაცვალების 50 წლისთავის მომწყობი სრულიად საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარემ, ლენინური პრემიის ლაურეატმა ლ. მ. ლეონოვმა.

მომხსენებელმა თქვა: ის ფაქტი, რომ ეროვნული აზრის კაპიტანის ბოგურაზე იმყოფებიან ისეთი ადამიანები, როგორიც ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოია, თანამედროვეებს შთააგონებს ნდობას აწმყოსადმი და შეუპოვრობას მომავლისადმი.

დროის გამოცდა სრულიადაც ვერ ახდენს გავლენას ტოლსტოის ნაწარმოებებზე, ისევე როგორც პუშკინის ნაწარმოებებზე, პუშკინისა, რომელიც ჩვენმა ხალხმა ყველგან სამარადისოდ იშვილა. ორივე ამ ადამიანს განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსულ პანთეონში. მსგავსად იმისა, როგორც პუშკინმა შეგვიქმნა მშობლიური მეტყველების ჯადოსნური მუსიკა, ტოლსტოიმ მისი დახმარებით შეუდარებლად და უმაგალითოდ გამოხატა რუსი ადამიანის სანუკვარი საქმენი, სიხარული და მწუხარება. ტოლსტოის წინააღმდეგობრივი და რთული ცხოვრება, განაგრძო მომხსენებელმა, დაეხმარა მას ეჩვენებინა ადამიანის ნამდვილი გული მთელი თავისი მრავალფეროვნებით. დღეს, ნახევარი საუკუნის განვლის შემდეგ, ტოლსტოი ჩვენს წინაშე წარმოსდგება მთელი თავისი გოლიათური სიდიადით.

ამ ადამიანის სახე არ ეტევა თვით ყველაზე ღირსშესანიშნავი ლიტერატურული ბედის ჩარჩოებში. მსგავსად იმისა, როგორც პუშკინის შესახებ, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, სამარცხვინოა ვილაპარაკოთ უწყინარი პროზით. ტოლსტოის სახელი დღეს მოითხოვს საჯარო სიტყვიერ აღკაზმულობას. ეს სახელი შედის სიტყვის ყველაზე უდიდეს ოსტატთა სიაში დაწყებული ჩვენი კულტურის ანტიკური აკვნიდან.

სიდიადე ტოლსტოისა, ლენინის აზრით, არის ის ძალა, რომლითაც იგი გამოხატავს თავისი ეპოქის ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენას — ხალხის გამოღვიძებას ცხოვრების ახალი ფორმების შეგნებული ისტორიული შემოქმედებისათვის.

ლ. მ. ლეონოვმა გააანალიზა ტოლსტოისა და მისი შემოქმედების მნიშვნელობა აწლანდელი ლიტერატორებისათვის.

მან თქვა, რომ მწერალი, მსგავსად დათოვლილი მწვერვალისა, ჩვენს წინაშე წარმოსდგება მთის პიკების ჯაჭვში, უკვდავ ადამიანთა ამ გალერეაში, რომელიც, რაც უნდა წინ და წინ ვიაროთ, მარად იბრწყინებს კაცობრიული კულტურის ჰორიზონტზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა როკუელ კენტს — ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს, შესანიშნავ ამერიკელ მხატვარს, სსრ კავშირის დიდ მეგობარსა და რუსული გენიის ტალანტის დამფასებელს.

— თითქმის დედამიწის სფეროს მოპირდაპირე ნაწილიდან აქ ჩამოვიდა ამერიკელი, რათა მოკლედ, სულითა და გულით პატივი ეცა უკვდავი ტოლსტოისათვის, — თქვა როკუელ კენტმა.

მხატვარმა შემდეგ ილაპარაკა იმ უდიდეს გავლენაზე, რაც მასზე მოახდინა ტოლსტოის წიგნმა „რა არის ხელოვნება?", რომელიც მხატვარმა ორმოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ წაიკითხა.

— მე ახლა გულითად პატივს ვცემ, — თქვა დასასრულ როკუელ კენტმა. — არა მარტო სახელგანთქმულ რომანისტს, რომელსაც მთელი მსოფლიო აღიარებს, არამედ აგრეთვე წინასწარმეტყველ ლევ ტოლსტოის, მშვიდობის წინასწარმეტყველს, ადამიანთა ძმობის მღაღადებელს. დაე საყოველთაო მშვიდობა ტოლსტოის დიადი ძეგლი იყოს!

საზეიმო სხდომას დაესწრნენ ამხანაგები **ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. მ. შვერნიკი.**

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა კონცერტი. (საკდესი).



ზეებომი გათავხედდა

ბერლინი, 21 ნოემბერი, (საკდესი). ბონის მთავრობის წევრები განაგრძობენ თავხედური რევანშისტული მოთხოვნილებებით გამოსვლას. ადნ-ის სააგენტოს ცნობით, უკანასკნელ დღეებში მინისტრმა ზეებომმა ორჯერ წარმოთქვა პროვოკაციული სიტყვები რევანშისტულ თავყრილობებზე რეგენსბურგში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა). ზეებომმა წამოაყენა ტერიტორიული დაჩემება ჩეხოსლოვაკიის მიმართ და განაცხადა, რომ დასავლეთგერმანელ რევანშისტებს „ვერავინ ვერ აიძულებს უარი ათქმევინონ მათ მოთხოვნილებებზე. ბონელი მინისტრი იქამდეც კი მივიდა, რომ მოითხოვა აღმოსავლეთ ევროპის „განთავისუფლება" „თვით ურალამდე".

ლაოსის საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ

პეკინი, 21 ნოემბერი, (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის განცხადება, რომელშიც ჩინეთის მთავრობა მხარს უჭერს ლაოსის სამეფოს მთავრობის გადაწყვეტილებას ჩინეთსა და ლაოსს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, მხურვალედ მიესალმება ლაოსის სამეფო მთავრობის მისწრაფებას, რომ განმტკიცდეს ჩინეთსა და ლაოსს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა, მშვიდობა დამყარდეს ინდოჩინეთში, აგრეთვე მზად არის მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რათა ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას.

ჩინეთის მთავრობას, აღნიშნულია განცხადებაში, მიაჩნია, რომ ლაოსში ახლანდელი არამყარი ვითარება იმის შედეგია, რომ ამერიკის იმპერიალიზმი მხარს უჭერს მეამბოხეთა ხროვას ფუმი ნოსავანის მეთაურობით. ჩინეთის მთავრობა მკაცრად გმობს ამერიკის იმპერიალიზმის უხეშ ჩარევას ლაოსის საშინაო საქმეებში, გადაჭრით მხარს უჭერს ლაოსის სამეფოს კანონიერ მთავრობას პრინც სუვანა ფუმას მეთაურობით.

სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი

21 ნოემბერს თბილისში დაიწყო სრულიად საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური თათბირი მთისა და მთისწინა პირობებში სარწყავი არხების სათავე კვებისა და კალაპოტის პროცესთა საკითხებზე. თათბირი მოიწვიეს ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ და საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. თათბირი მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და კომუნისტური პარტიის შექმნის 40 წლისთავისადმი.

რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და საწარმოო ორგანიზაციათა მუშაკებთან ერთად თათბირის მუშაობაში მონაწილეობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტაშკენტის, მინსკის, ბაქოს, ერევნის, აშხაბადის, ფრუნზესა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მეცნიერები.

მზადება ფულის გამოსაცვლელად

მოსკოვი, 21 ნოემბერი, (საკდესი). დღეს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის გამგეობის გაფართოებული სხდომა რესპუბლიკური კონტორების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომა განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით გამოცვლის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულებასთან.



შვიდწლედის ყარაულზე

მატარებლის ტარების ოსტატი

შუქნიშანი მწვანედ განათდა. გაისმა ელმავლის საყვირის ხმა. სატვირთო მატარებელი მძიმედ დაიძრა, მალე სიჩქარეს უმატა და ქედს მიეფარა. აქ განსაკუთრებული რა იყო, მაგრამ სადგურის ბაქანზე რკინიგზელთა საუბარს რომ მოვკარი ყური, დავინტერესდი:

— ასმეჩვიდმეტე მძიმე წონის მატარებელია, რომელიც რეზომ გაატარა წელს.

— ასმეჩვიდმეტე?

— დიახ!

— ვაჟკაცობაა!

მოსაუბრენი, როგორც შემდეგ გავიგე, მატარებლის შემდგენლები იყვნენ. რეზო კი — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს მემანქანე — რეზო საყვარელიძე.

სურამის რთულპროფილიან უბანზე მოწინავე მემანქანეს მძიმე წონის მატარებლებით ნორმის გადამეტებით გადაზიდული აქვს 37.041 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, ამასთან ელმავლის ტექნიკური სიჩქარე ნორმასთან შედარებით საათში 3 კილომეტრით გაზარდა.

რით აღწევს წარმატებებს?

— მძიმე წონის მატარებლის შეუფერხებლად ტარებისათვის, — გვეუბნება საყვარელიძე, — მემანქანემ კარგად უნდა იცოდეს გზის პროფილი, რომ დროული ზომები მიიღოს ელმავლის მოსალოდნელი ბუქსაობის აღსაკვეთად თვლებში სილის მიცემით. ბუქსაობა გამოიწვევდა მატარებლის სიჩქარის შენელებას, შესაძლებელია გაჩერებასაც, რასაც მოჰყვებოდა გრაფიკის დარღვევა. ეს კი ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საზომია. რეკუპერაციის მაქსიმალური გამოყენებით, ავტომუხრუჭების დროული მოქმედებით მნიშვნელოვანი რაოდენობით ვზოგავ ელექტროენერგიას.

სახელოვანი მემანქანე რ. საყვარელიძე ნორმის გადამეტებით გადაზიდული ტვირთით, ელექტროენერგიის მომჭირნეობითა და ელმავლის ტექნიკური სიჩქარის გადიდებით ყოველთვიურად ასობით მანეთს ზოგავს. პირადად მას განვლილ ათ თვეში შვიდწლედის ფონდში შეტანილი აქვს 6 ათას მანეთზე მეტი.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის" საკ. კორ.

სადაც ლიახვი ბობოქრობს...

ქეხვი ის სოფელია, რომლის შესახებ ბევრ კარგ სიტყვას გაიგონებთ ლიახვის ხეობაში.

მიდის, მოქუხს ბობოქარი, შემოდგომის ანკარა ლიახვი. ჭავის ვიწროებს რომ გამოსცდება, „ქეხურას" სამშობლო სოფელთან მხრებს შლის და ქართლის ვაკეზე გამოდის.

ქეხვი შორიდან ერთ მთლიან ბაღად მოგეჩვენებათ. მიუახლოვდებით — თვალწინ საშვილიშვილოდ ნაგები სახლებია წამოჭიმული. წითელი აგური, თეთრი თუნუქი, კოხტა აივნები, დავარცხნილი ეზოები სოფლის ადამიანების სიკეთესა და ბედნიერებაზე მეტყველებენ.

შემოდგომის მიწურულია. თუმცა ბაღი შიშვლდება და ყვითელი ფოთოლი ძირს ჩამოდის, მაგრამ ქეხველთა ბაღში შრომის ხმაური არ შეწყვეტილა.

ხეებს შორის ჩანს ვაშლის ხვავები, მიმოფანტული თეთრი ყუთები, მოფუსფუსე კალათიანი ჭაბუკები და ქალიშვილები, მიმოდიან ვაშლით დატვირთული მანქანები...

— ეს ვინ მოვიდა? — იკითხა მიმღები პუნქტიდან მოსულმა სატვირთო ავტომანქანის მძღოლმა მაღალი ტანის ქალის შესახებ, როცა იგი მსუბუქი მანქანიდან გადმოვიდა.

კოლმეურნეებმა ერთიმეორეს გადახედეს და მძღოლს თითქმის ერთხმად უპასუხეს: „როგორ ვერ უნდა იცნობდეთ, ახალგაზრდავ".

მძღოლმა უხერხულობა იგრძნო.

— რაიკომის მდივანი ხომ არ არის? ვიცი, რომ რაიკომში ქალი მუშაობდა მესამე მდივნად, — დაჟინებით შეეკითხა მძღოლი ვაშლის ჩაწყობაზე მომუშავე კოლმეურნეებს.

სცდებით, მეგობარო, ჩვენი თამარი გახლავთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარე. ვაჟკაცი ვერ შეედრება საქმეში. [illegible] თქვენ ალბათ ამ ხეობის იშვიათი სტუმარი ხართ, თორემ თამარ ზარდიაშვილს გეცოდინებათ.

მძღოლმა და კოლმეურნეებმა თვალი გააყოლეს თავმჯდომარეს, რომელიც კოლმეურნეთა ხან ერთ, ხან მეორე ჯგუფს შეუერთდებოდა, გაამხნევებდა, ხოლო ზოგჯერ მწვავე შენიშვნებსაც მისცემდა.

— აბა, ნოშრევან, ისევ თქვენ, ახალგაზრდებმა, უნდა ასახელოთ კოლმეურნეობა. ყურადღება მიაქციეთ, რომ ხილი სათუთად ჩააწყონ ყუთებში. ქეხურა გამძლეა, მაგრამ სიფრთხილეს თავი არა სტკივა. დღეს 6 მანქანა მაინც უნდა ჩაბარდეს მიმღებ პუნქტს, — დაარიგა თამარმა კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ნოშრევან კახნიაშვილი, თვითონ კი „ვოლგით" ფერმისაკენ გაემართა.

იცის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, რომ ვაშლი მათი შემოსავლის ძირითადი წყაროა. მერე და როგორი მოსავალია წელს, პირდაპირ სარეკორდო! როგორი საქმეა ჰექტარზე 150-160 ცენტნერი ვაშლი და ისიც დაბრაწული ქეხურა! მილიონს უნდა გადააჭარბოს ვაშლის შემოსავალმა.

თამარი დღე და ღამ თავს დასტრიალებს ბაღს, ფერმას. ვაშლის კრეფა ჯერ არ დამთავრებულა და ბაღებში საშემოდგომო სამუშაოები მთელი ძალით გაიშალა. ეს კი მომავალი წლის უხვი მოსავლის საწინდარია.

...მივიდა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ფერმაში, შესასვლელთან მას მოწინავე მწველავი დარო ნებიერიძე შეეგება. გაეხარდათ მეცხოველეებს თამარის მოსვლა. დარო გულთბილად მიესალმა მას, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავისი ძროხებისაკენ წასვლა ამჯობინა.

— მოიცა, დარო, რას გარბიხარ, მითხარი რამე ვალდებულებაზე, როგორია სიტყვა და საქმე?

— სიტყვა სიტყვაა, მე ჩემს პირობას არ გადავუხვევ! — თქვა მწველავმა და უბის წიგნაკი ამოიღო, გადაშალა და ამოიკითხა: ვივალდებულე თითეულ ძროხაზე 2.500 ლიტრი რძე. ჯერ თვენახევარი აკლია წლის დასასრულს, მე უკვე 2.600 მაქვს მოწველილი, აი ჩემი სიტყვა.

თავმჯდომარეს მწველავის ამ სიტყვებზე გაეღიმა. მერე ფერმას ჩამოუარა, ბაგები შეათვალიერა, ახალგაზრდა მწველავი მაყვალა მელანაშვილი იკითხა.

— მაყვალამაც გაანაღდა ვალდებულება, ფერმა კი ამ თვეში შეასრულებს, — კმაყოფილებით უპასუხეს მეცხოველეებმა.

თამარმა დიდხანს ისაუბრა ფერმის გამგესთან საკვების, პირუტყვის მოვლისა და წველის საკითხებზე, დაათვალიერა იქვე ახლოს სუქებაზე დაყენებული ღორები და შემდეგ მეფ რინველეობის ფერმას მ შურა.

მეფრინველეობის ფერ [illegible] ბაქიძეს. ქ თევანი ადრე მებოსტნეობაში მუშაობ [illegible] არტ [illegible] ლის გამგეობამ ახალგაზრდა მეფრინველე ბის ფერმა ჩააბარა. ერთი წელიც არ გასულა და მდგომარეობა ფერმაში მკვეთრად შეიცვალა. ერთიორად გაიზარ კვერცხის წარმოება, 10 თვეში თვითეუ კვერცხმდებელ ქათამზე მიღებულია 9 კვერცხი. ქეთევანი დღედაღამ თავს დ ტრიალებს ფერმას. მის კარგ მუშაობაზ ბევრს წერენ საოლქო გაზეთები, მის ქ ბას ხშირად გაიგონებთ რაიონისა და ოლქის ახალგაზრდულ შეკრებებზე.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ახა რებს ახალგაზრდების ასეთი თავდადებ ლი შრომა. მან კოლმეურნეობაში მის ლისთანავე სწორად აიღო გეზი ახალგა რდობაზე. მაგრამ აქაც ცოტა სიძნ ლეებს როდი წააწყდა. ბევრი საშუალ სკოლადამთავრებული თავს არიდებ ფიზიკურ შრომას. გამოცდილი კოლმ ურნეები კი ზოგჯერ უკმაყოფილებას გ მოთქვამდნენ ახალგაზრდების დაწინა რების გამო.

— როგორ, ფრინვლის პატრონობა გ მოუცდელ გოგონას მიანდეს, ზოოტ ნიკოსი, აგრონომი ახალგაზრდები არია ბრიგადებიც ჭაბუკებს ჩააბარეს. ნამდვ ლად საქმეს ჩაგვიგდებენ, — გაისმო ხოლმე ხმები სოფელში.

მაგრამ თამარს ასეთი მითქმა-მოთქ როდი აშინებდა. მან იცოდა, რომ ახალ გაზრდობა დიდი ძალაა და ამ ძალ სწორად გამოყენება სიკეთეს მოუტან სოფელს. თამარს ეს ფიქრები ნამდვილა გაუმართლდა. მებაღეებმა, მეცხოველეებ მა, მეჭარხლეებმა, მეფრინველეებმა თა ისახელეს. კოლმეურნ ობის წამყვანი, ძირით დი დარგი საკმაოდ შ მოსავლიანი და პერ სპექტიულია. მძლავრ ახალგაზრდულმა ნაბ ჯებმა გააქარწყლეს ე ვები ახალგაზრდობაზ ახლა სოფელი ამაყობ ჭაბუკებით და გოგონ ბით. ქეხველი ახალგაზ რდები რამდენიმე მეურ ფასი წამოწყების ინი ციატორები არიან სა ხრეთ ოსეთში. მათ ა ლეს ინიციატივა სოფ ლის კეთილმოწყობი პირუტყვისათვის საკვე ბის დამზადების, ვე ხისა და ბაღების გაშ ნების საქმეში...

შებინდდება და ქ ველი ახალგაზრდები ბ ღებიდან, ფერმებიდ ბრუნდებიან. სოფლ კლუბში ილიჩის ნათ რები აციმციმდებ გარმონ-დოლიც და კრავს. ახალგაზრდ საღამოებს მიეჩვია მთ ლი სოფელი. 80-9 წლის მოხუცები სია ყით უცქერიან სოფლ ახალგაზრდების წა მოწყებებს და ცეკვ თამაშს.

კოლმეურნეობის კა ტორაში კი თავმჯდომა რე ბრიგადირებს ესა უბრება, შრომის შედე გებს აჯამებს, ხვალ დავალებას აძლევს...

ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

თამარ ზარდიაშვილი

პარტია იბრძვის, პარტია იმარჯვებს

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

ღრმად შევისწავლოთ პარტიის ომისშემდგომი პერიოდის ისტორია

◆

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1960 წლის 9 იანვრის დადგენილებაში „თანამედროვე პირობებში პარტიული პროპაგანდის ამოცანების შესახებ" მოცემულია პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ფართო და ნათელი პროგრამა, განსაზღვრულია მისი შინაარსი, ფორმები და მეთოდები ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მშრომელთა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებისა და კომუნისტური სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ისტორიის შესწავლას. ცენტრალური კომიტეტი პარტიული ორგანიზაციების ყურადღებას მიაქცევს დიდი სამამულო ომის, ომამდელ და ომისშემდგომ წლებში პარტიის მოღვაწეობის ღრმად შესწავლის აუცილებლობას.

სკკპ ისტორიის ახალ სახელმძღვანელოში პარტიის ომისშემდგომი პერიოდის ისტორია, რომელიც მოიცავს დაახლოებით 15 წელიწადს, დაყოფილია სამ პერიოდად: პარტიის ბრძოლა სოციალისტური სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის ომისშემდგომ პერიოდში (1945-1953 წლები); პარტიის ბრძოლა სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისათვის (1953-1958 წლები); სსრ კავშირის შესვლა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

საბჭოთა კავშირის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ ფაშისტ აგრესორების წინააღმდეგ დიდ სამამულო ომში შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ხალხს კვლავ დაბრუნებოდა მშვიდობიან, შემოქმედებით შრომას, წარემართა მთელი ძალები მეურნეობის უმოკლეს ვადაში აღდგენისა და შემდგომი განვითარებისაკენ, გაეჩაღებინა მუშაობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და კომუნისტურ საზოგადოებაში თანდათანობით გადასვლის ისტორიული პროგრამის განხორციელებისათვის.

1945-1953 წლებში საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიშუშა ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინა და შემდგომ განავითარა სახალხო მეურნეობა. სერიოზული წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე. განუზომლად ამაღლდა და განმტკიცდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო პრესტიჟი. ამიერიდან მსოფლიო პოლიტიკის არც ერთი დიდი საკითხი არ შეიძლებოდა გადაჭრილიყო, თუ ამაში მონაწილეობას არ მიიღებდა საბჭოთა კავშირი. ამ პერიოდის უმნიშვნელოვანესი თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე ძირეულად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ, კაპიტალიზმის საზიანოდ.

პროპაგანდისტმა ღრმად და დამაჯერებლად უნდა განუმარტოს მსმენელებს, რომ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება და უდიდესი დამსახურებაა მთელი კაცობრიობის წინაშე. ამით საბჭოთა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით არა მარტო უზრუნველყო თავისი დამოუკიდებლობა და დაიცვა სოციალისტური მონაპოვარნი, არამედ იხსნა მსოფლიოს ხალხები ჰიტლერელთა მიერ დამონების აშკარა საფრთხისაგან, დაღუპვას გადაარჩინა მილიონობით ადამიანი და კაცობრიობის კულტურის მიღწევები.

მსოფლიო ასპარეზზე მომხდარმა ძირეულმა ცვლილებებმა ხელსაყრელი პირობები მოამზადა რევოლუციური გადატრიალებებისათვის ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც მშრომელმა მასებმა კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით დაამხეს თავიანთი რეაქციული მთავრობები და დაამყარეს პროლეტარიატის დიქტატურა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ფორმით.

პროპაგანდისტმა ხაზი უნდა გაუსვას იმ გარემოებას, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ჩინეთის რევოლუცია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის ბედზე. იგი ახალ მძლავრ დარტყმას მოასწავებდა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, განსაკუთრებით მისი კოლონიური სისტემის წინააღმდეგ და მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის სასარგებლოდ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კაპიტალისტურ სისტემას ჩამოშორდა თერთმეტი სახელმწიფო 700 მილიონ კაცზე მეტი მოსახლეობით და დაადგა განვითარების სოციალისტურ გზას. სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გაჩენით დაიწყო ახალი ეტაპი სოციალიზმის განვითარებაში. თუ მეორე მსოფლიო ომამდე სოციალისტური სისტემის წილად მოდიოდა დედამიწის ტერიტორიის 17 პროცენტი და მოსახლეობის დაახლოებით 9 პროცენტი, ომის შემდეგ სოციალიზმმა მოიცვა დედამიწის ტერიტორიის 26 პროცენტი და მოსახლეობის დაახლოებით 35 პროცენტი. მაშასადამე, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყნის ფარგლებს და გადაიქცა მსოფლიო სისტემად. ამიერიდან მთელ მსოფლიოში ფაქტიურად შეიქმნა **ორი ძირითადი მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური ბანაკი:** სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი და იმპერიალიზმის ბანაკი. ამით ძირეულად შეიცვალა სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. წავიდა ის დრო, როცა ჩვენი ქვეყანა წარმოადგენდა მსოფლიოში ერთადერთ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც იმყოფებოდა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაში. საბჭოთა კავშირმა სოციალისტური სამყაროს წამყვანი ქვეყნის მდგომარეობა დაიკავა.

როგორც ცნობილია, პირველმა მსოფლიო ომმა და დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცეს კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის დასაწყისს. მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად დაიწყო ამ კრიზისის მეორე ეტაპი, რომლის უმნიშვნელოვანესი გამოვლინება იყო მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა.

საჭიროა მსმენელებს განვუმარტოთ აგრეთვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მეორე ეტაპის ისეთი გამოვლინებანი, როგორიც არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაქანება, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დაშლის დაჩქარება; კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის შემდგომი გაძლიერება, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა ბაზრების პრობლემა და გააძლიერა ბრძოლა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროებისა და ნედლეულის წყაროებისათვის; გაბატონებულ მონოპოლისტურ ბურჟუაზიასა და მშრომელთა შორის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება, რამაც გამოიწვია ბურჟუაზიული დემოკრატიზმის შემდგომი დაშლა და მონოპოლისტური ბურჟუაზიის რეაქციულობის კიდევ უფრო გაძლიერება. ამან ხელი შეუწყო მუშათა კლასის შეგნებულობისა და მისი დარაზმულობის ზრდას, კომუნისტური და მუშათა პარტიების ავტორიტეტისა და გავლენის ამაღლებას.

პროპაგანდისტმა კონკრეტულ მაგალითებზე მითითებით დამაჯერებლად უნდა განუმარტოს მსმენელებს, რომ კაცობრიობის სრული განთავისუფლება დრომოჭმული და სამარცხვინო კოლონიური წესწყობილებისაგან თანამედროვეობის საარსებო პრობლემაა. ჯერ კიდევ ახლანდელი თაობის სიცოცხლეში დედამიწის მოსახლეობის ორი მესამედი კოლონიური რეჟიმის პირობებში ცხოვრობდა. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დასასრულს, როცა რუსეთში გაიმარჯვა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, დაიმსხვრა კოლონიური და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები მთელ რიგ ქვეყნებში. დაიწყო პროლეტარული რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბობოქარი ეპოქა. ეროვნული დამოუკიდებლობის დროშა, რომელიც მსოფლიოში მაღლა აფრიალდა, ახლა გადაიქცა ასეულ მილიონობით ადამიანის დროშად. დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა აფრიკის 26 სახელმწიფო, რომლებშიც 180 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, მათ შორის 16 ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა მიმდინარე წელს. ამიტომ 1960 წელს სამართლიანად უწოდებენ აფრიკის წელს. ახლა აფრიკას, რომელიც, კ. მარქსის ხატოვანი გამოთქმით, ხუთი საუკუნის განმავლობაში შავკანიანებზე ნადირობის ასპარეზი იყო, მთლიანად მოედო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ალი.

კოლონიალიზმი აგონიას განიცდის, მაგრამ იგი, ჯერ კიდევ საშიშია, „როგორც დაჭრილი ვეფხვი ტროპიკულ ჯუნგლებში". მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში კოლონიურ მონობაში მაინც იტანჯება ას მილიონზე მეტი კაცი. კოლონიურ რეჟიმს უკანასკნელ ჟამსაც შეუძლია გამოიწვიოს ბევრი ტანჯვა და მსხვერპლი. ხალხებმა არაერთხელ უგრძნიათ კოლონიური ომების მსოფლიო ომად გადაზრდის საშიშროება. ახლანდელი საერთაშორისო დაძაბულობის ბევრი უმნიშვნელოვანესი კვანძიც — ახლო და შუა აღმოსავლეთში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში მნიშვნელოვანწილად კოლონიური პოლიტიკის წარმონაშობია. მაგალითად, ინტერვენციამ კონგოს რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოიწვია საერთაშორისო ვითარება, სერიოზული საფრთხე შეუქმნა მშვიდობის საქმეს.

სწორედ ამიტომ მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ჩაგრულ ხალხთა ბრძოლის მხარდამჭერის პოლიტიკის ერთგულმა საბჭოთა კავშირმა მთელი სიმტკიცით დააყენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XV სესიაზე კოლონიალიზმის — წარსულ საუკუნეთა ბარბაროსობისა და ველურობის ამ საზიზღარი მემკვიდრეობის — სრული და დაუყოვნებლივი ლიკვიდაციის საკითხი. საბჭოთა მთავრობის წინადადება და დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ გენერალური ასამბლეის სესიამ თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხად აღიარა. საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეტანილმა ამ სამართლიანმა და კეთილშობილურმა წინადადებებმა ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა და მისი შემდგომი წარმატებით განვითარება მარქსიზმ-ლენინიზმის ცხოველმყოფელი იდეების ახალი ტრიუმფია, ბრწყინვალე დადასტურება ვ. ი. ლენინის მეცნიერული წინასწარმეტყველებისა იმის შესახებ, რომ მუშათა კლასის დიქტატურის გადაქცევა ეროვნულიდან, ე. ი. ერთი ქვეყნის მუშათა კლასის დიქტატურიდან ინტერნაციონალურ დიქტატურად, ე. ი. რამდენიმე ქვეყნის პროლეტარიატის დიქტატურად — გადამწყვეტ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიო პოლიტიკაზე.

სახალხო-დემოკრატიული რევოლუციების განვითარება, მათი გადაზრდა სოციალისტურ რევოლუციებში ხდებოდა საერთო ობიექტურ კანონზომიერებათა საფუძველზე, შინაგანი კლასობრივი წინააღმდეგობების გამწვავებისა და კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის საერთო დასუსტების შედეგად.

ამ საკითხის განმარტება მით უფრო აუცილებელია, რომ მშვიდობის მტრები ყოველნაირად ცდილობენ ცილი დასწამონ საბჭოთა კავშირს, რომ იგი თითქოს ახდენს რევოლუციის „ექსპორტს" სხვა ქვეყნებში, თავს მოახვიონ მსოფლიოს ხალხებს დამახინჯებული წარმოდგენა საბჭოთა სინამდვილეზე და დააშინონ ისინი მოჩვენებითი „კომუნისტური აგრესიით".

მარქსიზმ-ლენინიზმმა დიდი ხანია დაამტკიცა, რომ რევოლუციები კანონზომიერი ისტორიული პროცესის შედეგია, რომ ისინი არ წარმოიშობიან სურვილის მიხედვით, ცალკეული პიროვნებების ან პოლიტიკური ჯგუფების დაკვეთით. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ადამიანები, რომლებსაც შესაძლებლად მიაჩნიათ რევოლუციის მოხდენა უცხო ქვეყანაში შეკვეთით, შეთანხმებით, ან ჭკუაზე შეშლილნი, ან პროვოკატორები არიან, რომ რევოლუციის „მოხდენა არ შეიძლება არც შეკვეთით, არც შეთანხმებით, რომ ისინი მაშინ წარმოიშვებიან, როდესაც ათობით მილიონი ადამიანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ასე ცხოვრება ამიერიდან აღარ შეიძლება".

სოციალიზმი უთუოდ გაიმარჯვებს ყველა ქვეყანაში, მაგრამ არა რევოლუციის „ექსპორტის" გზით, არამედ ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის შინაგან წინააღმდეგობათა და კლასობრივი ანტაგონიზმის განვითარების შედეგად.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა განმათავისუფლებელ ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დახმარებამ. თავისი ინტერნაციონალური მოვალეობისადმი ერთგული საბჭოთა კავშირი ომის დროს ისედაც შემცირებული მარაგიდან ძმურად უყოფდა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს სურსათს, თესლს, ნედლეულს, ამასთან მტკიცედ იცავდა მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს.

პროპაგანდისტმა ამომწურავად უნდა დაახასიათოს ორი მსოფლიო სისტემის — კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების წარმოშობის გზები და მეთოდები.

თუ კაპიტალიზმის სისტემაში შემავალი ქვეყნებისათვის დამახასიათებელია ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების უთანაბრობის კანონი, რის შედეგადაც ზოგი ქვეყანა თავის განვითარებაში წინ გაიჭრება, ცდილობს კაბალაში, დამოკიდებულ მდგომარეობაში იყოლიოს ჩამორჩენილი ქვეყნები, ამისაგან განსხვავებით, მსოფლიოს სოციალისტურ სისტემაში მოქმედებს გეგმაზომიერი, პროპორციული განვითარების კანონი. ეკონომიური განვითარების ამ ახალი კანონზომიერების არსი იმაში მდგომარეობს, რომ წინათ ეკონომიურად ჩამორჩენილი სოციალისტური ქვეყნები, იყენებენ რა სსრ კავშირისა და სხვა ეკონომიურად უფრო განვითარებული სოციალისტური ქვეყნების გამოცდილებას, ეკონომიურ თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას, აერთიანებენ და ერთმანეთთან ათანხმებენ თავიანთ საწარმოო ღონისძიებებს, ახდენენ სახალხო-სამეურნეო გეგმების ურთიერთდაკავშირებას, კოორდინაციას. ყოველივე ეს უზრუნველყოფს საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას, ნედლეულის რესურსების უკეთ გამოყენებას. სოციალისტური მშენებლობის მაღალ ტემპებს. ამ გზით სოციალისტური ქვეყნები უზრუნველყოფენ თავიანთი ეკონომიკისა და კულტურის წინ წაწევას მოწინავეთა დონემდე.

სოციალისტურ ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო განაწილებისა, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების საფუძველზე იქმნებოდა მსოფლიო მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რომლის შემადგენელი ნაწილია მსოფლიო სოციალისტური ბაზარი. მაშასადამე, მსოფლიო მეურნეობის სოციალისტური სისტემა წარმოადგენს დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოების ეროვნულ სოციალისტურ მეურნეობათა ერთობლიობას და ვითარდება სოციალიზმის ეკონომიურ კანონზომიერებათა საფუძველზე. ისეთი ურთიერთობის დამყარება საშუალებას აძლევს სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში შემავალ ყველა ქვეყანას სწრაფად და გეგმაზომიერად განავითარონ თავიანთი ეკონომიკა და კულტურა. ასე გამოდის ყველა სოციალისტური ქვეყანა ეკონომიური და კულტურული განვითარების ერთ საერთო ხაზზე.

ითვალისწინებდა რა ეკონომიური განვითარების ამ კანონზომიერებას, სკკპ XXI ყრილობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სოციალიზმის ყველა ქვეყანა დაახლოებით ერთდროულად გადავა კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში.

* * *

მეორე მეცადინეობაზე პროპაგანდისტი მოუთხრობს მსმენელებს ომისშემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის პარტიისა და საბჭოთა ხალხის უდიდეს ღონისძიებებზე. მეორე მსოფლიო ომმა კოლოსალური ზარალი მიაყენა ჩვენი ქვეყნის ხალხებს. არც ერთ ქვეყანას არც ერთ ომში არ განუცდია ასეთი ზარალი და ნგრევა. მაგრამ სოციალისტური წყობილების განუზომელმა უპირატესობამ კაპიტალისტური წყობილების წინაშე, საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უზრუნველყო ოკუპანტების მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა და შემდგომი განვითარება.

პარტიამ დასახა მეოთხე ხუთწლიანი გეგმა, რომლის ძირითადი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა ის იყო, რომ აღგვედგინა ქვეყნის დაზარალებული რაიონები, აღგვედგინა სახალხო მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ გადაგვეჭარბებინა ამ დონისათვის მნიშვნელოვანი ოდენობით. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სამხედროდან სამშვიდობო რელსებზე გადაყვანის უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება პარტიამ ძირითადად უზრუნველყო 1946 წელს.

საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღდგენილ იქნენ ქალაქები და სოფლები, ათასობით საწარმო კვლავ ჩადგა მოქმედთა მწყობრში. ხდებოდა აღორძინებულ სამრეწველო საწარმოთა აღჭურვა უახლესი ტექნიკით. დაზარალებული რაიონების აღდგენისას ახალი ძალით გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ურთიერთდახმარება და ძმური მეგობრობა. 1948 წელს სსრ კავშირში სამრეწველო წარმოების მოცულობამ არა მარტო მიაღწია ომამდელ დონეს, არამედ კიდეც გადააჭარბა მას. ეს იყო კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის უდიდესი გამარჯვება. აწყობდა რა სახალხო მეურნეობის აღდგენას ქვეყნის დაზარალებულ რაიონებში, პარტია ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობდა სხვა რესპუბლიკებისა და ოლქების მრეწველობის განვითარებას, განაგრძობდა ჩვენს ქვეყანაში საწარმოო ძალების განლაგების გაუმჯობესებას. ამის საილუსტრაციოდ პროპაგანდისტმა უნდა დაასახელოს ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ისეთი გიგანტების შექმნა, როგორიც არის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა. ეს იყო ამავე დროს კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელების ახალი მკაფიო გამოვლინება.

მეოთხე ხუთწლედის დავალებანი მრეწველობამ 4 წელიწადსა და 3 თვეში შეასრულა. მრეწველობის საერთო პროდუქციამ 1950 წელს 73 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, მაშინ როცა გეგმით ნავარაუდევი იყო 48 პროცენტით გადაჭარბება. მეოთხე ხუთწლედში აღდგენილ იქნა, აშენდა და ამოქმედდა 6 ათასზე მეტი მსხვილი სამრეწველო საწარმო, ე. ი. თითქმის იმდენივე, რამდენიც პირველ და მეორე ხუთწლედებში ერთად.

სერიოზული წარმატებები იქნა მოპოვებული სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო წარმოებამ ძირითადად მიაღწია ომამდელ დონეს. მაგრამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი მთლიანად როდი იყო გამოყენებული, რის გამო სოფლის მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებზე და მსუბუქი და კვების მრეწველობის მოთხოვნილებას ნედლეულზე. დაბალი იყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. სერიოზული ნაკლოვანებები იყო მეცხოველეობის განვითარებაში.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი პარტიის საქმიანობაში წინა პლანზე დადგა აღმზრდელობითი, იდეოლოგიური მუშაობა როგორც ძველი, ექსპლოატატორული წყობილების ნაშთებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლის ძირითადი ფორმა. მასების შეგნებული შემოქმედებითი აქტივობის განუწყვეტელი ზრდა საზოგადოების პროგრესული განვითარების კანონზომიერებაა, სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობითი გადასვლის აუცილებელი პირობაა. სოციალისტური მშენებლობის პერიოდში პარტიის აღმზრდელობითი მუშაობის გავლენით ძირეული ცვლილებები მოხდა საბჭოთა ადამიანების შეგნებაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ომისშემდგომ წლებში იდეოლოგიურ საკითხებზე მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ჩვენი პარტიისა და ხალხის იდეურ ცხოვრებაში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, საბჭოთა ხალხის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ამრიგად, 1945-1959 წლებში ჩვენმა პარტიამ მოხერხებულად გამოიყენა ომისშემდგომი საერთაშორისო ვითარების ძირეული ცვლილებანი სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. მშვიდობიან პირობებში ორგანიზატორული საქმიანობის სწრაფად გარდაქმნით, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის დონის ამაღლებით პარტიამ შესანიშნავი წარმატებები მოიპოვა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში.

ვ. მერკვილაძე,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

1960 წლის 21 ნოემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს სამხედრო-საჰაერო ატაშეს თანაშემწეს მაიორ მაკდონალდს, რომ 48 საათის განმავლობაში დატოვოს საბჭოთა კავშირის ფარგლები, რადგანაც იგი სსრ კავშირში ეწეოდა სადაზვერვო საქმიანობას, რაც შეუთავსებელია დიპლომატიური მუშაკის სტატუსთან.

როგორც კომპეტენტურმა ორგანოებმა დაადგინეს, მაკდონალდი საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შემდეგ აქტიურად ჩაება ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სამხედრო-საჰაერო ატაშეს აპარატის სადაზვერვო საქმიანობაში. სსრ კავშირში წელიწადნახევრის ყოფნის განმავლობაში მაკდონალდმა ბევრჯერ განახორციელა სადაზვერვო მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში, რომლის დროსაც არაერთხელ შეეცადა შეჭრილიყო სამხედრო და სამხედრო-სამრეწველო ობიექტების განლაგებაში.

მაკდონალდს დანაშაულზე წაასწრეს სამხედრო ობიექტების ფოტოგადაღების მომენტში ქალაქ კურგანში მოგზაურობის დროს. მას უპოვნეს ბლოკნოტები, იმ თავდაცვითი ობიექტების შესახებ სადაზვერვო ჩანაწერებით, რომლებიც აინტერესებდა ამერიკის დაზვერვას მოსკოვ-კურგანის მარშრუტზე.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა მაკდონალდი, რომ დაუშვებელია სსრ კავშირში სადაზვერვო მუშაობა, რომელსაც იგი ახორციელებდა.

მაგრამ ამის შემდეგაც მაკდონალდი კვლავ განაგრძობდა სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვებას და განახორციელა მთელი რიგი ახალი სადაზვერვო მოგზაურობა ჩვენს ქვეყანაში.

ა. წ. 18 ოქტომბერს მაკდონალდი სამხედრო პატრულმა დააკავა სამხედრო ნაწილისა და თავდაცვითი ქარხნის განლაგების რაიონში, ქალაქ ხარკოვის გარეუბანში.

დაკავების დროს მაკდონალდი შეეცადა თავი გაესაღებინა უცხოელ ტურისტად, რომელიც უვნებელ მოგზაურობას ახორციელებდა ჩვენს ქვეყანაში, რათა თითქოს და გაეცნო ქალაქ ხარკოვის „ღირსშესანიშნაობანი".

ზემოაღნიშნულის გამო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ პროტესტი განუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მოსკოვის საელჩოს და ერთხელ კიდევ მიაპყრო მისი ყურადღება იმას, რომ დაუშვებელია ამგვარი მოქმედება საელჩოს პერსონალისა და სამხედრო ატაშეთა აპარატების მხრივ.

მეცნიერული თვალი მაღაროში

საწარმოო გეგმების შესრულებისათვის მაღაროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს. ამიტომ ტრესტ „ჭიათურმარგანეცის" მაღაროებში სალიანდაგო ტრანსპორტს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. აქ დაინერგა მძიმე ტიპის საკონტაქტო ელმავლები. ლენინის სახელობის მაღაროს კაპიტალურ გამონამუშევრებში დაიგო მძიმე ტიპის რელსები, რამაც მეტად კარგი შედეგი გამოიღო. ამ მაღაროს ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გამოიყენოს კიდევ უფრო მძლავრი, ოცდახუთტონიანი საკონტაქტო ელმავლები. ეს სიახლეც მეტად მნიშვნელოვანია. მაღაროებში თანდათან წესრიგში მოჰყავთ სალიანდაგო მეურნეობა. ეს ძლიერ გაზრდის მარგანეცის გამოზიდვას.

ლოკომოტივების გოგორწყვილების ბანდაჟების სიგანის გაზრდისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს ლენინის სახელობის მაღაროს საელმავლო დეპოს კოლექტივი. თუ აქამდე ტრანსპორტის შეფერხებებით მუშაობის გამო ლენინის სახელობის მაღაროში ზარალი წლიურად სამ მილიონ მანეთზე მეტს შეადგენდა, განხორციელებულ ღონისძიებათა შემდეგ იგი მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

ამ სიახლეთა დანერგვით მაღარო ყოველდღიურად 500 ტონით მეტ მარგანეცს აძლევს სამშობლოს გასულ წელთან შედარებით.

ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად ბევრია გასაკეთებელი მეცნიერული კვლევის დარგშიც.

საქართველოს სსრ ლენინის სახელობის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა წელს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტთან ერთად დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები მარგანეცის მაღაროებში ტრანსპორტის საკითხებზე მეცნიერული კვლევისათვის. უწინარეს ყოვლისა ჩვენი მიზანია სამუშაოები ჩავატაროთ ყველაზე რთულ საზიდ უბნებში, რეისების დადგენაზე, რის შემდეგაც გამოვლინდება რეისშიგა მოცდენები და მათი გამომწვევი მიზეზები. შემდგომი ეტაპი კი ითვალისწინებს მოსამზადებელ სამუშაოებს მძიმე ტიპის ლოკომოტივების ზიდვის დროს დინამიკის საკითხების შესწავლისათვის და ამ დარგში კვლევით სამუშაოებს.

ამის შემდეგ განზრახული გვაქვს ჭიათურის მაღაროების პირობებში შევიმუშაოთ ღონისძიებები მძიმე ტიპის მატარებლების მუშაობისათვის, საზიდი ჭურჭლების, ლოკომოტივების, მოწყობილობების დაზიანების შემთხვევების შესამცირებლად.

ამავე დროს ჩვენს მიზანს შეადგენს მარგანეცის საზიდ ჭურჭლებზე მიკვრის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც მეტად ვიწრო ადგილია მაღაროში.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღაროს ვაგონეტების მათზე მიკრული მარგანეცისაგან გამწმენდი მოწყობილობის პირველი ვარიანტის დამზადებაში დიდ დახმარებას გვიწევს ლენინის სახელობის მაღაროს ხელმძღვანელობა, სადაც განზრახულია ამ მოწყობილობის გამოცდა.

ვ. ტყემალაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წულუკიძის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

თბილისის პლასტმასის ქარხნის მუშები ხარატი მ. სარალიძე (მარჯვნივ) და მღარავი რ. მაღრაძე ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებენ დღიურ ნორმას.

ფოტო ბ. დადვაძისა.

შოთა რუსთაველი ჯვარის მონასტერში

ახალი დიდი მონაპოვარი რუსთველოლოგიაში



შოთა რუსთაველის პორტრეტი იერუსალიმის ჯვარის მონასტერში (ქვეყნდება პირველად)

„აწ განცვიფრებულ ვარ დიდად, თუ რასათვის უგულებელს ყვნეს ქართველთა დიდნი ესე და წმინდანი ადგილი“, „აქა მოსრულნი ქართველნი ვინმე რასათვის ამათთვის არ გამოეძიებდა?“, ანუ რასათვის დაუგდიათ ესოდენ მირნახული? კვალად ამასცა განკვირვებულ ვართ, თუ ასე რასათვის უმეცარ იქმნენ საქართველოსაგანნი? ერთი ვინმე რასათვის ვერ მოიწია აქა, აქაური ამბავი შეეტყო, და ანუ ქვაზედ ანუ წიგნთა შინა აღმოეკითხა ეს ამბები და საქართველოთათვის ეუწყებინა? არავინსა სმენიეს, თუ იერუსალიმი ქართველთათვის რა არის, და ახლა მე უწყოდი აქაური ესევითარი საქმე. ჰოი მე, რა დიდის უგუნურებით არს ნათესავი ჩვენი“...

ასე დასტიროდა XVIII საუკუნის ქართველი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე პალესტინაში შექმნილ კულტურის ძეგლებს, რომლებსაც იმ დროს უკვე უცხო თესლ-ტომნი დაპატრონებოდნენ.

ერთ დროს პალესტინა წარმოადგენდა ქართველი ხალხის კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ცენტრს, სადაც ქართველი ხალხის შემოქმედებითმა გენიამ ხელოვნების არაერთი დიდებული ძეგლი დატოვა.

მარტო იერუსალიმში ქართველებს ეკუთვნოდა ორმოცამდე ეკლესია-მონასტერი და რამდენიმე სასტუმრო სახლი, სადაც „განუსვენებდეს მომავალთა ძმათა ქართველთა და ბერძენთა“.

ამ ძეგლთა მშენებლობა პალესტინაში ჯერ კიდევ IV-V საუკუნეებში დაიწყო. საუკუნეების მანძილზე პალესტინის ქართულ ტაძრებსა და ლავრებში ისმოდა ქართული ენა და ქართული გალობა და მიმდინარეობდა ინტენსიური და ნაყოფიერი ლიტერატურული და კულტურულ-შემოქმედებითი მუშაობა.

ჟამთა ვითარებაში სარკინოზთა, თურქთა, ჯვაროსანთა და სხვათა ნავარდის შედეგად ეს ძეგლები ჩამოიქცა, დაინგრა და განადგურდა, ხოლო იმ ძეგლებს, რომლებიც ნგრევას გადაურჩნენ, სხვები დაეპატრონენ.

ამ სიძველეთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იერუსალიმის ჯვარის მონასტერს, რომელიც დღესაც ამაყად დგას ზეთისხილის ბაღნარში როგორც ქართული კულტურის უდიდესი ძეგლი პალესტინაში..

გადმოცემა ჯვარის მონასტრისათვის ადგილის მოპოვებას იერუსალიმის გარეუბანში პირველ ქართველ ქრისტიან მეფეს მირიანს მიაწერს. მონასტრის მშენებლობა იმ სახით, როგორც ის შემდეგ იყო ცნობილი, დაიწყო XI საუკუნის პირველ მეოთხედში საბაწმინდელმა მოღვაწემ გიორგი — პროხორე შავშელმა, ცნობილი ათონელი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ინიციატივითა და მეფე ბაგრატ მეოთხის დახმარებით.

ჯვარის მონასტერი არის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი პალესტინაში. იგი არსებითად მთელი ციხე-ქალაქია, რომელიც მაღალი ზღუდით არის შემოვლებული. ზღუდის შიგნით მოთავსებულია მეტად რთულ ნაგებობათა კომპლექსი სამ და ოთხ სართულად, მრავალრიცხოვანი სათავსებით, რომელთა რაოდენობა დღესაც ორას სამოცდაათს აღწევს. მონასტრის ძირითად ტაძარს უჭირავს ფართობი 27,50×15,2 ზომისა (418 კვ მეტრი). იგი წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ თაღებს და ბოლოვდება გუმბათით. სვეტების ზომაა დაახლოებით 1,42×1,48 სანტ.

მონასტერი ერთ დროს მთლიანად დაფარული ყოფილა ფრესკებით.

როგორც XVIII და XIX საუკუნეების მოგზაურთა აღწერილობიდან არის ცნობილი, ჯვარის მონასტერში ყოფილა ფრესკული გამოსახულება ქართველი მეფეების მირიანის, ვახტანგ გორგასლისა და ბაგრატ კურაპალატისა; V საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწის, ქართველი უფლისწულის პეტრე ქართველის (ივერის), შემდეგში ლაზის ეპისკოპოზისა. მონასტრის აღმშენებლის, XI საუკუნის მოღვაწის გიორგი-პროხორე შავშელისა; ცნობილი ქართველი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი ათონელებისა; ფილოსოფოსის იოანე პეტრიწისა, შოთა რუსთველისა, ოდიშის მთავრის ლეონ II დადიანისა და მისი ცოლისა და შვილისა, ქართლის დედოფლის მარიამისა და ბევრი სხვა ქართველი მოღვაწის, მწერლის, მხატვრისა და სხვა პირებისა. რომელთაც ჯვრის მონასტრის მშენებლობაში, მოვლა-დაცვასა და სხვა საქმეში რაიმე ღვაწლი მიუძღოდათ.

ამჟამად ფრესკების დიდი ნაწილი მთლიანად ჩამოქცეულია. შედარებით კარგად არის შენახული მხატვრობა სვეტებზე, ნაწილობრივ კანკელზე და საკურთხევლის ერთს, მეტად მცირე ნაწილში

მონასტერი თავის დროზე მრავლად იყო შემკული აგრეთვე ქართული წარწერებით. ამ წარწერებიდან გადარჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი. ის წარწერები, რომლებიც კედლის მხატვრობას ახლდა, მთლად ერთიანად დაფარულია მუქი მწვანე ფერის ზეთის საღებავის სქელი ფენით. მონასტრის ახალ პატრონებს სადაც კი მოუხერხებიათ, ქართული წარწერები მთლიანად წაუშლიათ და მათ ნაცვლად ბერძნული წარწერები მოუთავსებიათ. ამჟამად მხოლოდ ხანგრძლივი დაკვირვებისა და დიდი ცდის შემდეგ ხერხდება ზოგიერთი ქართული წარწერის ნაწილობრივ ამოკითხვა.

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ერთ დროს განთქმული იყო მთელ აღმოსავლეთში. ქრისტეს საფლავის ეკლესიის, აღდგომისა და საბას ლავრის გვერდით ის იერუსალიმის ერთ-ერთ „წმიდა ადგილად“ ითვლებოდა. არსებული ლეგენდის მიხედვით ის აგებულია იმ ადგილას, სადაც თითქოს იზრდებოდა ის ხე, რომლისგანაც გააკეთეს „ჯვარი პატიოსანი“, ზედ რომ ქრისტე აცვეს.

ჯვარის მონასტრის მონაზონება „სალვთო“ საქმედ ითვლებოდა არა მარტო ქართველებისათვის, არამედ ქრისტიანული სამყაროს ყველა ხალხისათვის. ჯვარის მონასტერს სწირავდნენ მრავალ შესაწირავს, ოქრო-ვერცხლსა და ძვირფას ჭურჭელს, სოფლებსა და სახნავ-სათესს როგორც პალესტინაში, ისე საქართველოში. გამოჩენილი ქართველი მწიგნობარნი და მეცნიერნი უხვად ამარაგებდნენ ჯვარის მონასტერს ხელნაწერი წიგნებითა და ლიტერატურით, ხოლო მალე ჯვრის მონასტერი თვით იქცა ცენტრად, სადაც არაერთი ხელნაწერი დაწერილა.

მაგრამ ჯვარის მონასტერი განსაკუთრებით ძვირფასია იმ მხრივ, რომ მასთან არის დაკავშირებული შოთა რუსთველის სახელი.

ჯერ კიდევ ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობიდან იყო ცნობილი, რომ ჯვარის მონასტერში შოთა რუსთველის პორტრეტია გამოსახული. შემდეგში, 1883 წელს ეს პორტრეტი ნახა პროფ. ალ. ცაგარელმა, მაგრამ წინააღმდეგ გავრცელებული აზრისა, მას პორტრეტი არ გადაუღია.1) მან დაბეჭდა მხოლოდ წარწერის ტექსტი, რომელიც პორტრეტს თან ახლავს.

ალ. ცაგარელზე ადრე, 1845 წელს, შოთა რუსთველის პორტრეტი უნახავს და ჩაუხატავს ნიკოლოზ ჩუბინაშვილს, რომელმაც შემდეგ ამ ჩანახატისა და სიტყვიერი აღწერილობის საფუძველზე გააკეთებინა რუსთველის პორტრეტი ერთს პეტერბურგელ მხატვარს. ეს პორტრეტი ამჟამად დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. (ფონდი A—1767).2).

ნ. ჩუბინაშვილისეული ამ პორტრეტის მიხედვით არის გაკეთებული თარხნიშვილის მიერ შ. რუსთველის ქანდაკება. იგივე პორტრეტი გამოაქვეყნა 1958 წელს „საბჭოთა ხელოვნებაში“3) ბ. კანდელაკმა.

ამასთან დაკავშირებით გაზ. „კომუნისტის“ 1958 წ. 12 ნოემბრის ნომერში დაიბეჭდა კოლექტიური წერილი, რომლის ავტორები არიან აკად. გ. ჩუბინაშვილი, აკად. შ, ამირანაშვილი, საქ, სსრ მეცნ. აკად. წევრი-კორესპონდენტები ალ. ბარამიძე, ილია აბულაძე და ხელოვნების მცოდნეობის დოქტორი ვ. ბერიძე.

ეს ავტორები სამართლიანად აღნიშნავდნენ, რომ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ გამოქვეყნებული პორტრეტი შესრულებულია ნ. ჩუბინაშვილის ჩანახატების მიხედვით პეტერბურგში, მხატვრის მიერ, რომელსაც ორიგინალი არასდროს არ უნახავს, და რომ ეს პორტრეტი არ წარმოადგენს ჯვარის მონასტრის ფრესკის პირს და ამის მიხედვით არ შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ორიგინალზე.4)

ამგვარად, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე მოთავსებული პორტრეტი შოთა რუსთველისა დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული და არავინ იცოდა, თუ ნამდვილად რას წარმოადგენდა იგი. ამ პორტრეტისათვის არსებობდა მხოლოდ ტიმოთე გაბაშვილის, ნ. ჩუბინაშვილისა და ალ. ცაგარლის აღწერილობანი, აგრეთვე პეტერბურგელი მხატვრის მიერ შესრულებული სურათი, მაგრამ ამ სურათს, როგორც მოსალოდნელი იყო, ორიგინალთან, ჯვარის მონასტრისეულ რუსთველს ნამდვილ ქართულ სახესთან საერთო არაფერი აქვს.

უკვე წარსული საუკუნის ოთხმოციანიან წლებში ეს პორტრეტი დაკარგული იყო. მას ვერ მიაკვლია ვერც ნ. მარმა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ყოფნისას. უცნობ პირებს, რომლებიც ცდილობდნენ წაეშალათ ყოველგვარი ქართულის კვალი ჯვარის მონასტერში, ეს პორტრეტი და მისი წარწერა, მსგავსად მთელი რიგი სხვა სურათებისა, მეტად გულმოდგინედ წაუშლიათ და სქელი საღებავით დაუფარავთ.

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოდან იერუსალიმს გაემგზავრა სპეციალური ექსპედიცია ადგილობრივი სიძველეების, უმთავრესად რუსთველთან დაკავშირებული მასალების შესასწავლად. ექსპედიციამ შეძლო მიეკვლია რუსთველის პორტრეტისა და წარწერისათვის. სურათი და ტექსტი იმდენად წაშლილი იყო, რომ პირველ ხანებში ჩვენ სრულებით დავკარგეთ იმედი, რომ მათი აღდგენა მოხერხდება. დიდი ცდისა და გულმოდგინების შემდეგ შევძელით მთლიანად აღგვედგინა ტექსტი და სურათი, რომელიც აღმოჩნდა ხელოვნების ბრწყინვალე ნაწარმოები.

წარწერის ტექსტის აღდგენა საშუალებას იძლევა აგრეთვე გაირკვეს ზოგიერთი საკითხი, დაკავშირებული ამ პორტრეტის ისტორიასთან.

წარწერის ტექსტი, როგორც ცნობილია, გამოაქვეყნა პროფ. ალ. ცაგარელმა შემდეგი სახით: „ამისა დამხატავსა შოთა(ს) შეუნდოს ღმერთმან. ამინ. რუსთველი“.

ტექსტი იმ სახით, როგორც ეს ალ. ცაგარელმა გამოაქვეყნა, ერთგვარ გაუგებრობას იწვევდა. თუ მართლაც ფრაზაში „ამისა დამხატავსა შოთას“ იგულისხმებოდა შოთა რუსთველი, რატომ პირდაპირ არ დაწერეს „ამისა დამხატავსა შოთა რუსთველს“ და რატომ იყო სიტყვა „რუსთველი“ მიწერილი ტექსტის ბოლოს, უადგილო ადგილას. ეს გარემოება აფიქრებინებდა ზოგიერთ მკვლევარს, რომ ტექსტში ვიღაც სხვა შოთა იგულისხმება და რომ თითქოს იგი შემდეგ გააზრიანებულ იქნა შოთა რუსთველად და ამიტომ უკვე დამთავრებულსა და დასრულებულ წარწერას შემდეგში ვიღაც სხვა პირმა მიაწერა „რუსთველი“. ამის საფუძველზე გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ ეს პორტრეტი ვიღაც სხვა შოთასი უნდა იყოს და რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის სახელს იგი შემდეგ დაუკავშირეს.

ახლა, იმის შემდეგ, რაც აღდგენილია ტექსტი, საკითხი მარტივად წყდება. სიტყვა „რუსთველი“ წარწერის ტექსტს კი არ ეკუთვნის, არამედ პორტრეტს. იგი დაწერილია ორ ნაწილად. პირველი ორი ასო რუ (-რუ) მოთავსებულია რუსთველის თავსაბურავის მარცხნით, ხოლო დანარჩენი ასოები გამოყვანილია ორ სტრიქონად მარჯვენა მხარეზე: სთვ-ლი, ესე იგი პორტრეტზე გამოსახული პირის სახელი რუ-სთვ-ლი ამ შემთხვევაშიც მოცემულია ისე, როგორც თითქმის ყველა სხვა წარწერაში. ასე, მაგ., ექვთიმე და გიორგი ათონელების პორტრეტებს მსგავსადვე აწერია:

წა ეფ — მი ქრთ   წა გ — გი ქრთ
ველი   ვე
ლი

ე. ი. წმიდა ეფ — თჳმი ქართველი; წმიდა გი-ორგი ქართ-ვე-ლი

ამგვარადვეა დაწერილი რუსთველის სახელი მის პორტრეტთან, ისე რომ სიტყვა „რუსთველი“ მის ზემოთ მოთავსებულ ტექსტს კი არ ეკუთვნის, არამედ პორტრეტს.

მაშასადამე, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მარჯვენივ მეორე სვეტზე მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის შორის მოთავსებულ პორტრეტს აწერია „რუსთველი“. ამ პორტრეტს თავის წარწერიანად („რუსთველი“) ეხება ტექსტი ზემოთ მოთავსებული წარწერისა:

ამსა დამხატ
ავსა შოთა (ს)
შს ლნ ან

ე. ი. ^{1}ამისა დამხატ ^{2}ავსა შოთა(ს)^3 შეუნდვნეს ღმერთმან. ამინ. ვინაიდან წარწერა იმ პორტრეტს ეხება, რომელსაც „რუსთველი“ აწერია, ამიტომ ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს, რომ ამ წარწერის შოთაში სწორედ შოთა რუსთველზეა ლაპარაკი. სრულიად წარმოუდგენელია, რომ აქ ვინმე სხვა შოთა იგულისხმებოდეს.*)

ამგვარად, დღეს უკვე ეჭვმიუტანელ ფაქტად უნდა იყოს მიჩნეული, რომ ჯვარის მონასტრის სვეტზე მოთავსებულია შოთა რუსთველის პორტრეტი, რომელსაც აქვს ერთის მხრივ წარწერა „რუსთველი“, ხოლო მეორე მხრივ თან ახლავს ტექსტი „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვნეს ღმერთმან—ამინ“.

იბადება კითხვა, რა დროისაა ეს პორტრეტი ან წარწერა?

როგორც ცნობილია, ჯვარის მონასტერი განაახლა XVII საუკუნეში ნიკიფორე ჩოლოყაშვილმა და გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ეს პორტრეტიც იმ ეპოქას ეკუთვნოდეს. მაგრამ წარწერის შინაარსი ასეთს ვარაუდს საეჭვოს ხდის. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნეში შოთა რუსთველი ჯვარის მონასტრის „დამხატავად“ მიეჩნიათ, თუ ამისათვის რაიმე საფუძველი არ არსებობდა. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს პორტრეტი თავისი წარწერით ან არის განახლებული XVII საუკუნეში, ან გაკეთებულია რაიმე უტყუარი მონაცემის საფუძველზე.

ვფიქრობთ, ამჟამად ჩვენს ხელთ არსებული მასალები, მოპოვებული ჯვარის მონასტრის დეტალური შესწავლის შედეგად, აგრეთვე სხვა მონაცემებიც, რომლებიც ამჟამად უკვე ნაწილობრივ მაინც არის ხელმისაწვდომი, საშუალებას მისცემენ მკვლევართ საბოლოოდ გაარკვიონ ეს საკითხი.

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იერუსალიმის ჯვარის მონასტერში გამოსახულს შოთა რუსთველის პორტრეტს, რომელიც ამჟამად პირველად ქვეყნდება.

ირაკლი აბაშიძე
აკაკი შანიძე
გიორგი წერეთელი.

---

1) ალ. ცაგარელმა კალკით გადაიღო მხოლოდ რამდენიმე წარწერისა და სურათის პირი და გამოაქვეყნა კიდეც მაგრამ მათ რიცხვში შოთა რუსთველის პორტრეტი და მისი წარწერის ფაქსიმილე არ მოხვდა.

2) იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი, ტ. V, 1955, გვ. 248

3) IV 8, გვ. 10.

4) გაზ, „კომუნისტი“, 1958 წლის 12 ნოემბრის ნომერი, გვ. 3.

*) სურათები ანალოგიური წარწერებით (მაგ., დრანდელი მთავარეპისკოპოსის გაბრიელის, არსენისა და სხვ.) ჯვარის მონასტერში სხვაც მოიპოვება.

იერუსალიმის ჯვარის მონასტერი.

რუსთველის ნაკვალევზე

იერუსალიმში გაგზავნილ ქართველ მოღვაწეთა ექსპედიციის მუშაობა

შოთა რუსთაველის საფლავისა და სურათის შესასწავლად ოქტომბრის შუა რიცხვებში საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ იერუსალიმში მიავლინა სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების აკაკი შანიძის, გიორგი წერეთლისა და საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის პირველი მდივნის პოეტ ირაკლი აბაშიძის შემადგენლობით. ექსპედიცია ამ ორი დღის წინათ დაბრუნდა თბილისში. „კომუნისტის“ თანამშრომელი ესაუბრა ექსპედიციის ხელმძღვანელს ირაკლი აბაშიძეს, რომელმაც გვიამბო:

ფიქრით ჩვენ უფრო ადრე ვიყავით იერუსალიმში. მოუთმენლად ველოდით გაფრენის დღეს და ეს ნანატრი დღეც დადგა. ვერცხლისფერმა საჰაერო ხომალდმა — „ტუ-104“-მა დილით დატოვა მოსკოვი და ორ საათნახევრის ფრენის შემდეგ ავსტრიის დედაქალაქ ვენის აეროპორტზე დაეშვა.

დიდხანს არ გვიცდია. ადგილზე დაგვხვდა ბელგიის სამგზავრო კომფორტული თვითმფრინავი „საბენა“, ჩავსხედით. ჩვენთან ერთად მგზავრობდნენ საბერძნეთსა და პალესტინაში მიმავალი უცხოელები. ისმოდა ინგლისური, გერმანული, იტალიური, ფრანგული, ბერძნული და ჩვენი ტკბილი, მშობლიური ქართული.

ჩქარა გადავიფრინეთ ადრიატიკის ზღვა, შორი სიმაღლიდან ჩანდა იტალია. მალე კი საბერძნეთიც. თითქოს შეუმჩნევლად გაირბინეს საათებმა, ხედები ხედებს ცვლიდნენ. დღის მეორე ნახევარში უკვე ელადის ძველი დედაქალაქის ათენის მიწაზე დავეშვით. ქალაქის დათვალიერების დრო არ იყო. თვითმფრინავი ახალი მგზავრებით შეივსო, ნელა მოსწყდა მიწას და კურსი აიღო პალესტინისაკენ.

ელვის სისწრაფით გაირბინეს თვალწინ კრიტოსმა, როდოსის კუნძულებმა. ლაჟვარდიდან ვუმზერდით ლაჟვარდოვან ხმელთაშუა ზღვას, საღამოს ბინდი რომ ეპარებოდა. მალე ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქ თელ-ავივში ჩავფრინდით.

მაშინვე მანქანაში ჩავსხედით და შუაღამისას უკვე იერუსალიმში ვიყავით. ჩვენს საელჩოს ყოველგვარი წინასწარი ღონისძიება მიეღო, რომ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გაგზავნილ ჩვენს ექსპედიციას ნაყოფიერად ემუშავნა, შეესწავლა უკვდავი შოთა რუსთაველის სიცოცხლის ბოლო წლებთან დაკავშირებული ზოგიერთი საჭირბოროტო საკითხი, რისი გამორკვევა, შესწავლა და დადგენაც კი შეიძლებოდა მოგზაურობის ამ მოკლე დროში.

იერუსალიმში აჭერდა თაკარა მზე, უფრო ცხელოდა, ვიდრე აგვისტოში ჩვენთან. სიცხეს ვინ დაგიდევდათ, ოღონდ დასახული მიზნისთვის მიგვეღწია. თვითეული ჩვენგანი ღრმად გამსჭვალული იყო იმ რწმენით, რომ მიგვეგნო დიდი შოთას საფლავი თუ არა, სურათი მაინც, გახახარელი ამბავი ჩამოგვეტანა, გვეთქვა რუსთაველის მშობელი ქართველი ხალხისათვის, მთელი ქვეყნისათვის. კარგად ვიცოდით, რომ ამ პასუხსაგები ამოცანის გადაწყვეტის, ამ საინტერესო, მეტად დაძაბული ძებნის, ამ საშვილიშვილო საქმის შესრულების დროს, ჩვენთან იდგა მთელი საბჭოთა საქართველო. ეს საუბარიც მცირე ანგარიშია ჩვენი მუშაობისა, რომელსაც გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან გაიგებს ქართველი ხალხი, ჩვენი დიდი ეროვნული კულტურით დაინტერესებული ყველა საბჭოთა მოქალაქე.

ორმოცამდე ქართული მონასტერი და ეკლესია ყოფილა თურმე გაშენებული იერუსალიმის „წმინდა მიწაზე“. მათ შორის ყველაზე უდიდესია ჯვარის მონასტერი, რომელიც სამასამდე ოთახისა და სათავსისაგან შედგება. ეს შესანიშნავი არქიტექტურული ნაგებობა ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრს წარმოადგენდა პალესტინაში საუკუნეთა მანძილზე.

გაივლით ზეთისხილის გამეჩხრებულ ბაღებს, რომლებიც ირგვლივ აკრავს ჯვარის მონასტრის მაღალ გალავანს და მონასტერში შესასვლელ ერთადერთ დაბალ პატარა კარს მიადგებით, ციხე-სიმაგრე გეგონებათ. ფანჯრები ვიწროა, სათოფურების მსგავსი. მხოლოდ გუმბათი და სამრეკლოა ზემოაწვდილნი.

გადმოცემით, ჯვარის მონასტრის ასაგები ადგილი პირველად მირიან მეფემ შეარჩია.

საგულისხმოა კიდევ ერთი ლეგენდა: გადმოცემით, ჯვარის მონასტერი აგებულია იმ ადგილას, სადაც ოდესღაც იდგა ის ხე, რომლისგანაც გაკეთებულ „ცხოველმყოფელ ჯვარზე“ აცვეს ქრისტე. საკურთხეველში დღესაც დაცულია ნიში იმ ხის ძირის ნამყოფი ადგილის საჩვენებლად.

ამ სახით, როგორც ახლა ჩვენ ჯვარის მონასტერი ვნახეთ, აშენდა XI საუკუნის პირველ ნახევარში. იგი აგებულია ქართველი სასულიერო პირის პროხორე ბერის მიერ. მის მშენებლობაში მონაწილეობდნენ იმდროინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები.

XII საუკუნეში დიდი იყო ჯვარის მონასტრის გავლენა მთელ აღმოსავლეთ აზიაში, როგორც საქართველოს რელიგიური და კულტურული ცენტრისა. ჩვენს ამოცანას შეადგენდა გამოგვერკვია გენიალური ქართველი პოეტის შოთა რუსთველის ურთიერთობა ამ უდიდეს მონასტერთან, რომელთანაც დაკავშირებულია მისი სიცოცხლის ბოლო წლები.

იერუსალიმში ჩვენი ჩასვლის დროს ჯვარის მონასტრის კედლების შეკეთება მიმდინარეობდა. ჩვენდა საუბედუროდ, ეს კიდევ ერთხელ ფარავდა ისტორიული მნიშვნელობის ზოგიერთ ძეგლს, რომელთა ამოხსნა და საბოლოოდ დაზუსტება დროდადრო უფრო გართულდება. დიდ საგონებელში ჩავვარდით. თითქმის ყველა ნაწერი მონასტერში, გადაფხეკილი და მუქლურჯ, უფრო მოშავო, ფერის საღებავით იყო დაფარული. ქართული წარწერების ადგილას ზოგან სრულიად არაფერი ჩანს, ზოგან ბერძნული წარწერებია. კედლებზე არ ჩანან მირიან მეფის, ვახტანგ გორგასალის, ბაგრატ მეოთხის, ლეონ დადიანის და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა ფრესკები, ველურთა ბოროტ ხელს გადაურჩა მხოლოდ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ფრესკები, რომლებიც ალბათ ქართველებად ვერ შეიცნეს მონასტრის ახალმა პატრონებმა. მათ თავზე ბერძნული წარწერებია. ქვემოთ კი, ღრმა დაკვირვების შემდეგ, ჩვენმა მეცნიერებმა აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა ოდნავ გაარჩიეს ქართული ასოებით ამოკვეთილი სიტყვები „ექვთიმე ქართველი“, „გიორგი ქართველი“.

ქართული წარწერებიდან მხოლოდ ორიოდეა გადარჩენილი, ისიც უფრო გვიანი პერიოდისა, საბედნიეროდ, მონასტრის ცენტრში გადარჩენილა ლითონის დისკო, რომელზეც წავიკითხეთ ქართული წარწერა: „დექით მტკიცედ, შეურყევლად“. თითქოს ისტორიის მრისხანე ქარიშხლებში გვკივის ეს წარწერა, რომ მედგრად, მტკიცედ, მხნედ, უდრეკად იდგე, ქართველო, ყველა გასაჭირში.

დიდი მუშაობა დასჭირდა ჩვენს მეცნიერებს, რომ სათანადო აპარატების საშუალებით ამოეკითხათ ველურის ხელით გაპარტახებული ქართული წარწერები. ჯვარის მონასტერში კი, როგორც პეტერბურგის უნივერსიტეტის ცნობილი ქართველი პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი აღწერს თავის წიგნში „ჯვარის მონასტრის ისტორია“, არა ერთი ათეული ქართული წარწერა და ისტორიული მოღვაწის პორტრეტი ყოფილა კედლებზე.

ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერი იერუსალიმის მახლობლად მდებარეობდა. ახლა ეს ქალაქი ისე გაიზარდა, რომ მონასტერიც შეიერთა თავისი ზეთისხილის ბაღებიანად. აქ დღესაც ადასტურებენ იმ აზრს, რომ შოთა რუსთველი სიბერის ჟამს ჯვარის მონასტერში ცხოვრობდა. გადმოცემა ამ უკანასკნელ წლებში გაიმეორეს გ. პლოტკინმა და ს. ლოსევმა.

როგორც XVIII საუკუნის დასაწყისის ქართველი მოღვაწე ტიმოთე გაბაშვილი, ხოლო შემდეგ, უფრო გვიან, ქართველი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი გადმოგვცემენ, ჯვარის მონასტრის ერთ-ერთ სვეტზე დახატული ყოფილა შოთა რუსთაველის პორტრეტიც. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდროინდელი მოგზაურები და მეცნიერები, როგორც ვიცით, შოთას პორტრეტს იერუსალიმში ვერ პოულობდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენი გენიოსი პოეტის პორტრეტის არსებობაზე ლაპარაკი ჯვარის მონასტერში თავისთავად მეტყველებს შოთას ახლო კავშირს ამ მონასტერთან. არც ჩვენს მეცნიერებს დაუკლიათ ჯაფა ამის დასადგენად.

ერთხანს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ის ადგილიც, სადაც ვარაუდით შოთას პორტრეტი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ჯვარის მონასტერში არც ერთი ხელნაწერი ძეგლი არ მოიპოვება, რომ მათი შესწავლით საშუალება მოგვცემოდა პოეტის უკანასკნელი პერიოდის ბიოგრაფიის დასადგენად. ყველა ქართული უძველესი ხელნაწერი გადატანილი აღმოჩნდა იერუსალიმის ძველ ნაწილში, რომელიც ტრანსიორდანიის ტერიტორიაზე იმყოფება. მიუხედავად ბევრი ცდისა ჩვენ, დღევანდელ პირობებში, ვერ მივიღეთ უფლება გვეწარმოებინა ზოგიერთი არქეოლოგიური გათხრა და მოგვეხდინა ქართული ფრესკებისა და წარწერების გაწმენდა.

დიდი მუშაობის შემდეგ ჩვენ მივაგენით. და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, საიდუმლოდ გავწმინდეთ ის ადგილი, სადაც რუსთველის პორტრეტი გვეგულებოდა. რამდენიმე დღის დაძაბული შრომით მოვახერხეთ სათანადო აპარატებით ფრთხილად გადაგვეწმინდა მუქი-ლურჯი-შავი ფერის სქელი ფენა და მის ქვეშ პირველად დაგვენახა ზეამართული ხელები. იმედი მოგვეცა, გავმხნევდით და გაათკეცებული ენერგიით განვაგრძეთ ძიება. მალე აღმოჩნდა წითელი ფერის ტანსაცმელი, თეთრი წვერი, სახე... ჩვენს წინ წარმოდგა ღრმად მოხუცებული, სინდომიანი გამომეტყველებით, სევდიანი ბრძნული თვალებით მზირალი შოთა. გასაგებია ის უსაზღვრო სიხარული და აღტაცება, რაც მაშინ განვიცადეთ სამივემ. ვისაც კი რამე გაგვაჩნდა, არ დაგვიშურებია, დავაჯილდოვეთ მონასტრის ბერები.

არ დაგვიყოვნებია, მაშინვე მოვიწვიეთ მონასტერში ცნობილი იერუსალიმელი ოსტატი ფოტოგრაფი, რომელმაც საუცხოოდ გადაიღო შოთას ჯვარისმონასტრისეული პორტრეტი, როგორც ჩვეულებრივი, ისე ფერადიც. ფერადი დიაპოზიტივის გამოვლინება თვითონ იერუსალიმში არ მოხერხდა, რადგან ასეთ სამუშაოს იქაური ფოტოგრაფები ევროპაში გზავნიან გამოსავლინებლად. ჩვენ ფერადი და ჩვეულებრივი პორტრეტის დიაპოზიტივები თან წამოვიღეთ. რამდენიმე დღის შემდეგ ქართველი ხალხი, ყველა მოძმე ქვეყნის შვილები იხილავენ ალბათ რუსთველის ფერად პორტრეტსაც, რომელიც თბილისში დამზადდება.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის შუა წლებში ქართველმა მოღვაწემ ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა ჯვარის მონასტრიდან გადმოხაზა შოთას პორტრეტი. ამ ნახაზის მიხედვით მან პეტერბურგში უცნობ რუს მხატვარს დაახატვინა ეს პორტრეტი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ქართულ პრესაშიც გამოქვეყნდა.

ახლა ჩვენ ხელთა გვაქვს ჯვარისმონასტრისეული შოთას ნამდვილი პორტრეტი; შოთა რუსთველის ჯვარისმონასტრისეულ ნამდვილ ქართულ სახეს არაფერი აქვს საერთო იმ გამოქვეყნებულ პორტრეტთან.

საუკუნეთა მანძილზე ველურის ხელით შერყვნილ ჯვარის მონასტერში კარგად არის შენახული იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკები, (მათ ქვეშ აღმოჩნდა შოთას ეს პორტრეტი), ამოვიკითხეთ წარწერა: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოს ღმერთმან. ამინ“. ეს იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფრესკების ქვემო წარწერაა. რუსთველის პორტრეტს კი აწერია მხოლოდ ერთი სიტყვა: „რუსთველი“.

იერუსალიმში გაგზავნილ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი (მარცხნიდან) აკადემიკოსები: გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე და პოეტი ირაკლი აბაშიძე.

საერთაშორისო ცხოვრება

დეპეშები, ცნობები, მიმოხილვა

აშშ — მავნე ხრიკების რეჟისორი

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. საქდესის კორესპონდენტი გ. ვასილიევი იუწყება:

დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე განახლდა განხილვა კომიტეტის მოხსენებისა იმ რწმუნებათა შემოწმების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ადგილი მიეცეს კასავუბუს დელეგაციას.

პირველი გამოვიდა ფილიპინების წარმომადგენელი, რომელიც მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ აღიარებულ იქნას კასავუბუს რწმუნებანი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ა. ზორინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონგოელი ხალხისა და თვით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინტერესებისათვის იმ უღირსი და მავნე ხრიკების მთავარი რეჟისორი, რომელიც წარმოიშვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში კონგოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის საკითხის გარშემო, არიან შეერთებული შტატები. ამ საკითხის დაყენება, თქვა მან, აშკარად ინსპირირებულ იქნა დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ, რომლებიც ცდილობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დასვან არა კონგოელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები, არამედ თავიანთი მორჩილი მარიონეტები.

საბჭოთა დელეგაცია, განაცხადა დასასრულ ზორინმა, გადაჭრით გამოვა იმის წინააღმდეგ, რომ დამტკიცდეს რწმუნებანი ცალმხრივად შედგენილი დელეგაციისა, რომელიც არ წარმოადგენს კონგოს პარლამენტსა და ხალხს. საბჭოთა დელეგაცია დარწმუნებულია, რომ კონგოს ხალხი თვითონვე გადაწყვეტს, თუ ვინ უნდა იყოს მისი წარმომადგენელი. ჩვენ გადაჭრით გამოვდივართ კონგოს ხალხისათვის ამ გადაწყვეტილების თავზე მოხვევის წინააღმდეგ.

ვიეტნამის ამბები

პარიზი, 20 ნოემბერი. (საქდესი). 9 დღე გავიდა სამხრეთ ვიეტნამში გადატრიალების ცდის შემდეგ. ჯარის ქვედანაყოფთა მეტი ნაწილი თავის ყაზარმებში დაბრუნდა პროვინციაში, მაგრამ, მიუხედავად ამ გარეგნული სიმშვიდისა, იტყობინება ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან, კვლავ საგანგაშო განწყობილებაა და ატმოსფერო მწვავე და შფოთიანია. ყოველ ღამე მრავალი პოლიციელი პატრულობს ჩვეულებრივზე უფრო უკაცრიელი დედაქალაქის ქუჩებს. მოძრაობა პრეზიდენტის სასახლისაკენ მიმავალ ქუჩებში წყდება 22 საათზე. „საზოგადოებრიობაში შეშფოთებას იწვევს მეამბოხეთა და კომუნისტთა წმენდის მომწყობი კომიტეტის" საქმიანობა, ამასთან ეს შეშფოთება გამართლებულია იმათ მიმართ, ვინც მონაწილეობდა შეთქმულებაში.

კორესპონდენტი იმოწმებს აგრეთვე ცნობებს იმის შესახებ, რომ ნგო დინ დიემის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის ამერიკელთა კოლონიის ურთიერთობაში „არსებობს ერთგვარი დაძაბულობა".

ყაჩაღობის ექსპორტი...

ეს ამბავი არც ტეხასში მომხდარა და არც ოკლაჰომაში. მოქმედების ადგილია დასავლეთ გერმანიის ქალაქი მაინცი...

ერთ საღამოს მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს ადგილობრივ უნივერსიტეტში მოსწავლე სამი უცხოელი სტუდენტი — ლიბერიელი მარტინ კარპე, ნიგერიელი მალამ ოუენ ობასეკი და ვესტინდოელი გოლია „სტერეომუსიკის" მოსასმენად ლუდხანა „პიგალში" შევიდნენ. სამი სტუდენტი, სამი ფერადკანიანი ადამიანი...

თუ რა მოხდა შემდეგ, ამას იტყობინება დასავლეთგერმანული ჟურნალი „დერ შპიგელ": „ვიდრე აფრიკელები რაიმეს შეკვეთას მოასწრებდნენ, მათ აგრძნობინეს, რომ ისინი აქ არასასურველი სტუმრები არიან. თეთრკანიანმა ამერიკელმა სტუმრებმა, აცნობათ ოფიციანტმა, კლიენტთა შორის ზანგების ყოფნით თავი შეურაცხყოფილად იგრძნესო. ამის დასამტკიცებლად ჰქის მაგვარი რაც კი ხელთ მოხვდათ, თავზე დაამსხვრიეს აფრიკელებს. სახიფათოდ დაჭრილი შავკანიანი სტუმრები „პიგალიდან" გაიქცნენ.

დაზარალებულმა სტუდენტებმა საჩივარით მიმართეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩრდილოეთის ზონაში განლაგებული ამერიკის ჯარების სარდალს რალფ მეისს. მან მოუსმინა დასახიჩრებულ სტუდენტებს და ცინიკურად შეეკითხა:

— კი მაგრამ რატომ დადიხართ იქ, სადაც არასასურველი სტუმრები ხართ?

ამით გათავდა ყველაფერი. დამნაშავეთა დასჯაზე კრინტიც არ დაუძრავს.

აი ასეთ „თავისუფლებას", „თანასწორუფლებიანობასა" და „ცივილიზაციას" ასხამენ ქებადიდებას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

სურათზე: ასე გამოიყურებოდა ნიგერიელი სტუდენტი მალამ ოუენ ობასეკი მუნდირიან ამერიკელ რასისტებთან შეხვედრის შემდეგ.

ფოტო ჟურნალ „დერ შპიგელიდან".

მდგომარეობა კარიბის ზღვის რაიონში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საქდესი). მთელ მსოფლიოში, და განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში არასასიამოვნო გამოხმაურებამ გვატემალისა და ნიკარაგუას ნაპირებისაკენ ამერიკის სამხედრო ხომალდების გაგზავნის გამო დაბნეულობა გამოიწვია ამერიკის პრესაში.

გაზეთების ნაწილი გამოთქვამს აზრს, რომ, ვიდრე ხომალდებს გაგზავნიდნენ კარიბის ზღვის რაიონში, შეერთებულ შტატებს უნდა მიეღოთ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობათა მხარდაჭერა. ამასთან აღნიშნავენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებამ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციაში შემავალი ბევრი ქვეყნის მთავრობები მეტად საძნელო მდგომარეობაში ჩააყენა. კერძოდ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი რიო-დე-ჟანეიროდან იუწყება, რომ „ბრაზილია ამჯობინებდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოთათბირებოდნენ ლათინური ამერიკის ქვეყნების მთავრობებს ან ყოველ შემთხვევაში წინასწარ ეცნობებინათ მათთვის" ხომალდების გაგზავნა.

წინააღმდეგ ოფიციალური ვერსიისა, თითქოს ამერიკის ფლოტი და ავიაცია გაგზავნილი არიან კუბის მხრივ „შესაძლო ინტერვენციის" თავიდან ასაცილებლად, გაზეთების ბევრ ცნობაში აღიარებულია, რომ ზედმეტია ლაპარაკი კუბის რაიმე „ჩარევაზე" გვატემალისა და ნიკარაგუას საქმეებში. გვატემალიდან გამოგზავნილ ცნობაში „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტი პოლ კენედი წერს, რომ „კარიბის ზღვის მთელი რაიონი ამჟამად განიცდის რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების პერიოდს". იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მღელვარება და აჯანყებანი აქ „მიმართულია არსებული სოციალური და პოლიტიკური ფორმების წინააღმდეგ".

„იდეების ამ რევოლუციას, რომელიც გამოხატულებას პოვებს დრო და დრო მომხდარი აფეთქებებით, — განაგრძობს კენედი, — ორი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი აქვს კარიბის ზღვის აუზის ყველა ქვეყანაში: მას აქვს მემარცხენე ხასიათი, ზომიერიდან უკიდურესობამდე, და აშკარა ანტიამერიკული ელფერი".

„ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი კენუორტი, რომელიც მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო აქციას კარიბის ზღვაში, აღიარებს, რომ შეერთებულ შტატებს აშინებთ არა კუბის თავდასხმა, („ასეთ შიშს სახელმწიფო დეპარტამენტიც კი არ იზიარებს", — წერს იგი), არამედ მერყევი მდგომარეობა ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რაც „მემკვიდრეობად დატოვა ძველმა ბოროტებამ — ექსპლოატაციის სისტემამ, პოლიციის სისასტიკემ, თავისუფლების ჩახშობამ და მმართველი კლასების მიერ ეკონომიური რეფორმების გადადებამ".

ჯონსონი — პარიზში

პარიზი, 20 ნოემბერი. (საქდესი). პარიზში ჩამოვიდა ლინდონ ჯონსონი, რომელიც 20 იანვარს დაიკავებს ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის პოსტს. მასთან ერთად ჩამოვიდა ამერიკელ სენატორთა დელეგაცია, რომელშიც შედის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე სენატორი უილიამ ფულბრაიტი (დემოკრატი, არკანზასის შტატიდან), რომელიც, როგორც ფიქრობენ, შესაძლებელია დაინიშნოს სახელმწიფო მდივნად კენედის მთავრობაში. ამერიკელი კონგრესმენები მონაწილეობას მიიღებენ ნატოს საპარლამენტო კონფერენციის სესიებში.

პროვოკატორები კუბის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საქდესი). ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობით, გვატემალის პრეზიდენტმა იდიგორას ფუენტესმა, რომელიც პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა, განაცხადა, რომ მიესალმება დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნების პოლიციურ მოქმედებას კუბის წინააღმდეგ, იმ სახის მოქმედებას, როგორიც განხორციელებულ იქნა კორეაში.

როგორც ჩანს გვატემალის დიქტატორის განცხადებიდან, გვატემალის ოფიციალური ხელისუფლები თხზავენ სიყალბეს და ბრალს სდებენ კუბის რევოლუციურ მთავრობას გვატემალის საშინაო საქმეებში ეგრეთწოდებული „ჩარევისათვის".

ნიუ-იორკი, 19 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იმოწმებს კარგად ინფორმირებულ დიპლომატიურ წყაროებს და იუწყება, რომ გვატემალასა და ნიკარაგუას განზრახული აქვთ მოითხოვონ, რომ კუბის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნას „ხელშეკრულება დასავლეთ ნახევარსფეროს ურთიერთთავდაცვის შესახებ", რომელიც რიო-დე-ჟანეიროში დაიდო. გაზეთი შემდეგ აღნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულების პირობებით კუბის წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნას სანქციები, რომლებიც შეიცავენ „დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტას, ეკონომიური ურთიერთობის შეწყვეტას, ან კიდევ შეიარაღებული ძალების გამოყენებას".

თავისუფლება მანოლის გლეზოსს!

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა გააკეთა განცხადება, რომელშიც სსრ კავშირის მილიონობით ომის ვეტერანის სახელით, რომლებიც მოითხოვენ გლეზოსის რაც შეიძლება მალე განთავისუფლებას, ერთხელ კიდევ მიმართავს საბერძნეთის მთავრობას, რომ სამართლიანობისა და ჰუმანურობისათვის გაათავისუფლოს ფაშიზმის წინააღმდეგ მამაცი მებრძოლი და მშვიდობის დაუცხრომელი დამცველი მანოლის გლეზოსი. (საქდესი).

კომუნისტი სპორტი

ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატი

რიგა. (სპეც. კორ.). გასულ კვირადღეს აქ გაიმართა ქალთა XX საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი მეოთხე ტური.

ოსტატი ნ. გაფრინდაშვილი ამჯერად თამაშობდა ა. ჩაიკოვსკაიას წინააღმდეგ. ამ პარტიაში ნ. გაფრინდაშვილის უპირატესობა აშკარა იყო და მან ჩემპიონატის ცხრილში პირველი გამარჯვება ჩაიწერა. კარგ სპორტულ ფორმაშია ბაქოელი მოჭადრაკე თ. ზატულოვსკაია. მეოთხე ტურში მან დაამარცხა კ. ზვორიკინა. ვ. ბორისენკომ მოუგო ა. ვიტკოვსკაიას.

ფ. დმიტრიევასა და ა. კუშნირის პარტიაში ფიქსირებულ იქნა ყაიმი. მ. ტოგონიძისა და ვ. კაუშილაიტეს პარტია გადადებულია მ. ტოგონიძისათვის უკეთეს პოზიციაში. გადადებულია აგრეთვე ლ. ვოლპერტ - ო. იგნატიევას, ო. რუბცოვა - ვ. ტიხომიროვას, ვ. კოზლოვსკაია - ტ. ფილანოვსკაიასა და ტ. კრიუკოვა - ს. როოტარეს პარტიები.

რიგა. 21 ნოემბერი. (სპეც. კორ.). დღეს აქ შედგა ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის მეხუთე ტური.

პირველი დამარცხება განიცადა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა საერთაშორისო ოსტატმა ო. რუბცოვამ. მან წააგო პარტია ლენინგრადელ ოსტატთან ფ. დმიტრიევასთან.

დაახლოებით თანაბარი ბრძოლით ხასიათდებოდა საერთაშორისო ოსტატების ო. იგნატიევასა და ვ. ტიხომიროვას პარტია, რომელიც ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ვ. ბორისენკოსა და სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონის ლ. ვოლპერტის პარტიაში.

ა. ჩაიკოვსკაიამ თანაბარ პოზიციაში დაუშვა უხეში შეცდომა ტ. კრიუკოვასთან პარტიაში წააგო ფიგურა და მალე დანებდა მოწინააღმდეგეს. საერთაშორისო ოსტატი ს. როოტარე წარმატებით იბრძოდა ვინიცელი მოჭადრაკის ა. ვიტკოვსკაიას წინააღმდეგ და გამარჯვებას მიაღწია.

რთული მანევრირებული ბრძოლით ხასიათდებოდა მინსკელი მოჭადრაკის კ. ზვორიკინასა და ნ. გაფრინდაშვილის პარტია, რომელიც ამ დღეს არ დამთავრებულა. გადადებულ პოზიციაში კ. ზვორიკინას ზედმეტი პაიკი აქვს.

ამ დღეს წარმატებით იბრძოდა მ. ტოგონიძე შავებით ტ. ფილანოვსკაიას წინააღმდეგ და გამარჯვებას მიაღწია. თ. ზატულოვსკაიამ მოუგო ვ. კაუშილაიტეს. ე. კაკაბაძისა და ვ. კოზლოვსკაიას პარტია გადადებულია.

ხუთი ტურის შემდეგ პირველობის გათამაშების ლიდერები არიან თ. ზატულოვსკაია და ვ. ბორისენკო, რომლებსაც ოთხ-ოთხი ქულა აქვთ.

22 ნოემბერს მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაქოს საჭიდაო ტურნირზე

რამდენიმე დღეა აზერბაიჯანის დედაქალაქში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის გუნდური პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

მეორე შეხვედრა ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებს ჰქონდათ უკრაინის ძლიერ კოლექტივთან. ამ ასპარეზობაში საქართველოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ შეყრილაძე, არსენიანი, რუბაშვილი, გვიმრაძე, სალარაძე, დავლიანიძე, ლომიძე, კანდელაკი.

ეს მატჩი დამთავრდა ფრედ 16 : 16, მაგრამ წმიდა მოგებისათვის გამარჯვება მიეკუთვნა საქართველოს გუნდს.

ბევრისათვის მოულოდნელი იყო მორიგი მესამე ტურის შეხვედრების შედეგი საქართველოსა და ბელორუსიის გუნდებს შორის. ეს შეხვედრა ჩვენმა მოჭიდავეებმა თავიანთ შესაძლებლობათა დაბალ დონეზე ჩაატარეს და პირველი დამარცხება განიცადეს ანგარიშით 15 : 17.

მეოთხე ტურში ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეები ისვენებდნენ, მეხუთე ტურში მოუგეს მოლდავეთის გუნდს, ხოლო მეექვსე ტურში წააგეს რსფსრ გუნდთან.

რამდენიმე სტრიქონით

△ **თბილისის** ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში პოლონეთის პროფკავშირთა და საზოგადოება „განთიადის" ნაკრებ გუნდებს შორის. გაიმარჯვეს საქართველოს მოჭიდავეებმა 22 : 10. შეხვედრები მოიგეს — ო. ეგაძემ, შ. ს[illegible]ფაშვილმა, გ. მინასიანმა, დ. გვანცელაძემ, გ. სინაურიძემ, ნ. ერემეიშვილმა. ორი შეხვედრა დამთავრდა ფრედ.

△ **დონის როსტოვის** არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა კოლექტივმა დაამთავრა ტურნე თურქეთში. საბჭოთა ფეხბურთელებს აქ უკანასკნელი საერთაშორისო მატჩი ჰქონდათ საკლუბო გუნდ „პასიმთან". დონის როსტოვის სკა-მ შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა და გაიმარჯვა ანგარიშით 5 : 0.

△ **ლენინგრადში** დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება მხატვრულ ტანვარჯიშში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი. პირად ასპარეზობაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გროზნოს სპორტსმენმა ვ. მოტრინამ.

△ **სარატოვში** დამთავრდა სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში. ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდა საქართველოს გუნდი.

თათბირი ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე

ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი გაიმართება მიმდინარე წლის 6-8 დეკემბერს კრემლში.

არნოლდ ჩიქობავა არჩეულია ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად

ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის დაარსების 150 წლისთავთან დაკავშირებით, რომელიც ამას წინათ აღინიშნა, უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა საპატიო დოქტორის ხარისხი მიანიჭა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს არნოლდ ჩიქობავას.

ატყობინებს რა ამას პროფესორ არნოლდ ჩიქობავას, ბერლინის ჰუმბოლდტის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი დოქტორი ლენერტი ფილოსოფიის ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის რექტორის სახელით უგზავნის მილოცვას ამის გამო და იუწყება, რომ სათანადო დიპლომის გადაცემა მოხდება მოგვიანებით, შესაძლოა პირადად მისი მეშვეობით.

(საქდესი)

ამინდი

23 და 24 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, ცვალებადი მიმართულების სუსტი ზომიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 4-9, დღისით 11-15 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 3-8 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ნალექი, უმეტესად დასავლეთ რაიონებში, დასავლეთის სუსტი ზომიერამდე, მტკვრის ხეობაში დროგამოშვებით ძლიერამდე ქარი; ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 1 გრადუსი ყინვა — [illegible] გრადუსი სითბო, დღისით 9-14 გრადუსი სითბო, მთიან რაიონებში ღამით 3-8 გრადუსი ყინვა, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საერთაშორისო მიმოხილვა

✱ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ. ✱ შეთქმულება ბანგკოკში.

თუმცა ამერიკის პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ უკვე დაახლოებით ორი კვირა გავიდა, მაგრამ მისი შედეგები უაღრესად გაცხოველებული განხილვის საგანია, როგორც შეერთებულ შტატებში, ისე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ამავე დროს საზოგადოებრიობის უდიდეს ყურადღებას იპყრობს საკითხი — „რატომ განიცადა დამარცხება ნიქსონმა, და როგორ გავლენას მოახდენს კენედის გამარჯვება ვაშინგტონის პოლიტიკის შეცვლაზე?" უპასუხებდა რა ამ კითხვაზე, გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" ამას წინათ წერდა, რომ არჩევნების შედეგზე დიდი ზეგავლენა მოახდინა „კენედის პირადმა წარმატებამ ნიქსონთან გამართულ სატელევიზიო დისკუსიაში", რომ „შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა" და რომ არ არის რამდენადმე სერიოზული საფუძველი იმისათვის, რომ „ვიქონიოთ ახალი მთავრობის ახალი კურსის იმედი".

აშკარად სურთ ამერიკელი ამომრჩევლები დაარწმუნონ იმაში, რომ ახალი კურსისა და ახალი იდეების წყურვილს, რაც მან არჩევნების დროს გამოიჩინა, და რომელმაც დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელს თეთრი სახლის კარები გაუღო, არა აქვს მტკიცე საფუძველი და რომ ამიტომ მას, ამომრჩეველს, უფლება არა აქვს გადასახდელად წარადგინოს ვექსილი, რომელიც დემოკრატებმა მისცეს საარჩევნო კამპანიის პერიოდში. შეერთებული შტატების რეაქციულ წრეებს არ სურთ აღიარონ, რომ რესპუბლიკური პარტიის დამარცხება იყო შედეგი საერთაშორისო კონფლიქტების იმპერიალისტური გაღვივებისა და ომის მომზადების დიდი კრიზისისა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს წინასწარ სურთ მომავალი სახელმწიფო ადმინისტრაცია მიმართონ ეიზენჰაუერის მთავრობის პოლიტიკური კურსის განგრძობისაკენ და ამერიკელთა უმრავლესობის მოთხოვნათა უგულებელყოფისაკენ.

ამავე დროს ამერიკის დიპლომატია და მხედრიონი ყოველი ღონისძიებით ცდილობენ ჩაშალონ მოლაპარაკება განიარაღების შესახებ და ატომური რაკეტებით მოფინონ ნატოს დასავლეთევროპელ მონაწილეთა ტერიტორიები. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში უოდსვორტი გადაჭრით უარყოფს ყველა კონსტრუქციულ წინადადებას განიარაღების შესახებ და ამით თითქოს გზას უწმენდს ნატოს საბჭოს დეკემბრის სესიას, რომელზეც განიხილავენ „მეოთხე ატომური სახელმწიფოს" შექმნის პროექტს. ამ „სახელმწიფოს" ალმით შეერთებულ შტატებს სურთ დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე განალაგონ თავიანთი „პოლარისის" რაკეტები. როგორც ინგლისური გაზეთი „დეილი მეილი" იუწყება, ნატოს საბჭოს წარუდგენენ „მცირე, საშუალო და დიდი სიშორის ფრენის რაკეტების გამოყენების ხანგრძლივ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს სამრკალიანი რაკეტული სისტემის შექმნას". ამ სისტემაში, რასაკვირველია, მთავარი როლი ეთმობა დასავლეთ გერმანიას, რომლის კანცლერს უკვე დიდი ხანია სურს, გაზეთ „ზიუდდოიჩე ცაიტუნგის" გამოთქმით, „ხელი დაიდოს ატომური ხმლის ვადაზე" და გადააქციოს თავისი ფედერაციული რესპუბლიკა „პირველ სამხედრო სახელმწიფოდ დასავლეთ ევროპაში".

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ეკონომიური კომისიის ამასწინანდელ მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ მარტო 1958-59 საბიუჯეტო წელს ამერიკის შეერთებული შტატების ასმა უმსხვილესმა კორპორაციამ მიიღო 16.681 მილიონი დოლარის სამხედრო შეკვეთა, ანუ თავდაცვის სამინისტროს ყველა შეკვეთის 74 პროცენტი. ნამდვილი „რკინის ფარდის" მოშველიებით, რომლის მიღმა უბრალო მოკვდავთა თვალწინ დამალულია ამ კორპორაციათა დირექტორების კაბინეტები, ახლა მუშავდება სწორედ საიდუმლო შეთანხმებანი ამერიკელ ამომრჩეველთა წინააღმდეგ, იმათ წინააღმდეგ, ვინც გადაჭრით დაგმო მილიტარისტთა უგუნური პოლიტიკა.

ამერიკის შეერთებული შტატების შერყეული ეკონომიური მდგომარეობა ადასტურებს მილიონობით ამერიკელის სიმართლეს, რომლებმაც 8 ნოემბრის არჩევნებში დაგმეს ეროვნული ქონების ფლანგვა გამალებული შეიარაღებისათვის. ამას არაპირდაპირ აღიარებს თვით ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი რეაქციული გაზეთიც კი. „ახალი პრეზიდენტი, — ნათქვამია „ნიუ-იორკ ტაიმსის" ერთ-ერთ სტატიაში, — წააწყდება ახალ სერიოზულ ეკონომიურ პრობლემებს.

სწორედ რომ არასასურველ ქონებას უტოვებს პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თავის მემკვიდრეს! მაგრამ ხად და რისთვის იკარგება ამერიკული ოქრო? შეერთებული შტატები ოთხ მილიარდ დოლარზე მეტს ხარჯავენ ყოველწლიურად იმისათვის, რომ შეინახონ თავიანთი სამხედრო ბაზები საზღვარგარეთ და იყოლიონ ამერიკის ჯარები უცხოელთა მიწაწყალზე. ეს იწვევს საგადასახდელო ბალანსის დეფიციტს, ამცირებს მარაგს განთქმული ფორტ-ნოქსის საცავებში, სადაც ინახება მთელ მსოფლიოში ნაძარცვი ოქრო, ძირს უთხრის დოლარის რეპუტაციას.

უცხოელი ეკონომისტები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ დოლარის დაქვეითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ეკონომიკის ისეთ დიდ გამარჯვებასთან დაპირისპირებით, როგორიცაა საბჭოთა მანეთის კურსის გადიდება დოლარის მიმართ. დოლარის სერიოზულ სიძნელეებს მოწმობს აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის რ. ანდერსონისა და ეკონომიურ საკითხებში სახელმწიფო მდივნის მოადგილის დ. დილონის ის განზრახვა, რომ უახლოეს დღეებში ეწვიონ ბონს, პარიზსა და ლონდონს, რათა განიხილონ იქ „ფინანსური პრობლემები".

იმ კვირეებს, რაც ჰყოფს პრეზიდენტის არჩევნებსა და ახალი პრეზიდენტის მიერ თავისი პოსტის დაკავებას (ახალი პრეზიდენტი თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება 20 იანვარს), ამერიკის შეერთებულ შტატებში ხშირად „ლოდინის დროს" უწოდებენ. უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ გამართლდება ცვლილებათა ეს ლოდინი ამერიკის შეერთებული შტატების საგარეოპოლიტიკურ კურსსა და მთავრობის საშინაო პოლიტიკაში, რაც გამოხატა ამერიკელი ხალხის უმრავლესობამ პრეზიდენტის არჩევნების დროს.

* * *

ორი დღის განმავლობაში ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში, სეატოს მთავარ ბინაში, წარმოებდა ამ აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის სამხედრო მრჩეველთა თათბირი. თათბირი საიდუმლოდ მიმდინარეობდა. მიუხედავად ამისა საზღვარგარეთის პრესაში გავრცელდა ცნობები, რომ იგი მიეძღვნა სეატოში შემავალ აზიის ქვეყნებში სამხედრო მზადების გაძლიერების ახალი გეგმების შემუშავებას.

ბანგკოკში გაისმა სამხრეთ ვიეტნამისა და ლაოსის უკანასკნელი ამბების გამოძახილი, ამბებისა, რომლებმაც ცხადყვეს, რომ მსოფლიოში ყველაფერი როდი ხორციელდება ისე, როგორც ეს სურთ ადმირალ ფელტს, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების სარდალს წყნარი ოკეანის რაიონში, ან ამერიკის მმართველი წრეების სხვა წარმომადგენლებს.

თუ რა მიზნებს ისახავდა ეს თათბირი, ამის გაგება ძნელი როდია. სამხრეთ ვიეტნამში ამერიკული განწყობილების დიქტატორ ნგო დინ დიემის ტახტის შერყევამ და ლაოსში გაძლიერებულმა ხალხის ბრძოლამ ნამდვილი ეროვნული თანხმობისათვის, მშვიდობისა და ნეიტრალიტეტისათვის, — არეულობა გამოიწვიეს ვაშინგტონსა და მის „სახანძრო რაზმში" — სეატოში.

სეატოს სამხედრო ხელმძღვანელებმა ამ პირობებში გადაწყვიტეს მიეღოთ ავანტიურისტული ღონისძიებანი. ტაილანდის თავდაცვის მინისტრმა კიტიკაჩორნმა ბანგკოკის თათბირზე განაცხადა, რომ „თუ ლაოსში გაგრძელდა საგანგაშო მდგომარეობა", მაშინ ტაილანდის არმია მზად იქნება „სასწრაფოდ გამოვიდეს იმ ვალდებულებათა შესაბამისად, რომელიც მას ეკისრება როგორც სეატოს წევრს". ამერიკელმა ადმირალმა ფელტმა ამ წამაქეზებელ განცხადებას დასძინა: „ჩვენ მზად ვართ ვუპასუხოთ სეატოს მოწოდებას".

სეატოელ ჟანდარმთა ბანგკოკის შეკრებამდე რამდენიმე დღით ადრე შეერთებულმა შტატებმა და მათმა აგენტურამ ტაილანდსა და სამხრეთ ვიეტნამში გააძლიერეს ხრიკები ლაოსის ხალხისა და მისი კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ, მთავრობისა, რომელიც ლაოსის დედაქალაქ ვიენტიანშია. ქალაქ ლუანპრაბანში, მეფის რეზიდენციაში, მოაწყეს ამბოხება, რომლის შედეგადაც ლაოსის მეფე მეამბოხეთა ჯგუფების ტყვე გახდა. მეამბოხეებმა მიიღეს 16 მილიონი დოლარი, რათა გაეჩაღებინათ სამოქალაქო ომი. ბანგკოკის აეროდრომიდან, ტაილანდისა და სამხრეთ ვიეტნამის გზებით ისინი იღებენ ამერიკულ იარაღს. ამერიკელი ოფიცრები ამზადებენ მეამბოხეთა ძალებს.

ამერიკის შეერთებული შტატების თავხედური ჩარევა სხვა ხალხის საქმეში ახლა, ტაილანდში სამხედრო მრჩეველთა თათბირის შემდეგ, იმუქრება იმით, რომ იგი კიდევ უფრო ფართოდ განვითარდეს. ლაოსს ემუქრება სეატოს სახელმწიფოთა შეიარაღებული ძალების ინტერვენცია, რაც უაღრესად დაძაბულ მდგომარეობას ქმნის სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში.

ბანგკოკელი შეთქმულები ამაოდ ცდილობენ. დიდი ხანია გავიდა ის დრო, როცა იმპერიალისტები მუხლზე აჩოქებდნენ ხალხებს. ახლა თვით ამერიკის პრესაც კი ნანობს, რომ „დასავლეთი თავისი ცდებით, რომ განამტკიცოს აზია", ესე იგი დაამყაროს იქ რეაქციული რეჟიმები, გამუდმებით აწყდება „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ბევრი ქვეყნის შინაგანი ურყეობის პრობლემას", ესე იგი ამ ქვეყნების ხალხთა შეუპოვარ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

„ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ისტორიულ დროს, — განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის გახსნის გამო წარმოთქმულ სიტყვაში, — როცა ხალხების შეტევით იმსხვრევა კოლონიალიზმის უკანასკნელი ბასტიონები". ეს დახასიათება სავსებით ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში არსებულ მდგომარეობასაც. იმპერიალისტ მტარვალთა ხრიკები ამ რაიონის ხალხთა წინააღმდეგ ადრე თუ გვიან აღმოიფხვრება.

ვ. ლინეცკი.

ჰენდერსონი კონგოში

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე ლოი ჰენდერსონი ლეოპოლდვილში ჩავიდა. ჰენდერსონი, რომელიც ამერიკული პროვოკაციებისა და ინტრიგების გამოცდილი ორგანიზატორის რეპუტაციით სარგებლობს, უკვე ერთი თვეა მოგზაურობს აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოებში. ჰენდერსონის ჩასვლა კონგოში დაემთხვა ბელგია-ამერიკის აგენტის მობუტუს ძირგამომთხრელი მოქმედების აქტივიზაციას ლუმუმბას კანონიერი მთავრობის წინააღმდეგ. დღეს ჰენდერსონი გაფრინდა ელიზაბეტვილში, რომელიც მარიონეტ ჩომბეს ბუდეა.

ლონდონი, 20 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ლეოპოლდვილელი კორესპონდენტი იუწყება, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების კონგოს საელჩოს ავტომანქანა დაეჯახა და იქვე მოკლა ერთი აფრიკელი. აღშფოთებულმა კონგოელებმა ავტომანქანიდან გამოათრიეს ამერიკის საელჩოს ოთხი თანამშრომელი, რომლებიც აეროპორტში მიემგზავრებოდნენ, რათა ელიზაბეტვილში გაეცილებინათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილის მოადგილე ჰენდერსონი, და დაწვეს ავტომანქანა. საელჩოს მეორე მდივანი კარლუჩი და ამერიკის საელჩოს დაცვის უფროსი ლოურენსი დანით დაჭრეს.

კარლუჩი უნდა გაჰყოლოდა ჰენდერსონსა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ტიმბერლეიკს ოთხი დღის „საინსპექციო" მოგზაურობაში კატანგასა და კონგოს სხვა რაიონებში.

არჩევნები იაპონიაში

ტოკიო, 20 ნოემბერი. (საქდესი). როგორც იაპონიის რადიო იუწყება, დღეს იაპონიაში მიმდინარეობს პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნები. დღეს დილით მთელ იაპონიაში ერთდროულად დაიწყო კენჭისყრა 42 ათას საარჩევნო უბანში. დღის პირველ ნახევარში კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 34 პროცენტმა.

ტოკიო, 20 ნოემბერი. (საქდესი). დღეს იაპონიაში დაიწყო პარლამენტის ქვედა პალატის დეპუტატთა არჩევნები. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 40 მილიონამდე ამომრჩეველმა. ქვედა პალატაში 200 ადგილის (ადგილების საერთო რიცხვია 467) განაწილების შესახებ წინასწარი მონაცემებით სოციალისტმა კანდიდატებმა მიიღეს 50, ხოლო ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატებმა — 145 ადგილი.

ტოკიო, 21 ნოემბერი. (საქდესი). აქ ცნობილი გახდა შედეგები პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებისა, რომელიც გუშინ გაიმართა. 467 დეპუტატის მანდატი განაწილებულია შემდეგნაირად: ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია — 297, სოციალისტური პარტია — 145, იაპონიის კომუნისტური პარტია — 3, დემოკრატიული სოციალიზმის პარტია — 16, დანარჩენები — 6. ქვედა პალატის წინანდელ შემადგენლობაში ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა 283, სოციალისტურ პარტიას — 122, კომუნისტურ პარტიას — 1 და დემოკრატიული სოციალიზმის პარტიას — 40 დეპუტატი.

საარჩევნო კამპანიისათვის ფინანსური წრეების მილიარდობით ასიგნებებმა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ საშუალება მისცა მას ედიდებინა მანდატების რიცხვი პარლამენტის ქვედა პალატაში. მიუხედავად მმართველი წრეების ყველა ოინისა და მაქინაციის, თავდასხმების და პირდაპირი პროვოკაციებისა პროგრესულ მოღვაწეთა და ორგანიზაციათა წინააღმდეგ, იაპონიის დემოკრატიულმა ძალებმა არჩევნებში დიდ წარმატებას მიაღწიეს, დეპუტატების ადგილების მესამედზე მეტი მოიპოვეს პარლამენტში. ადგილების რაოდენობა გაადიდა პარლამენტში იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ. შესამჩნევად გაიზარდა პარლამენტის ქვედა პალატაში იაპონიის სოციალისტური პარტიის დეპუტატთა რიცხვი. ამავე დროს გამთიშველმა დემოკრატიული სოციალიზმის პარტიამ, რომლის ლიდერები არსებითად იაპონია-ამერიკის რეაქციის პირდაპირი მსახურნი გახდნენ, სასტიკი დამარცხება განიცადა.

შეეხო რა არჩევნების შედეგებს, იაპონიის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა ოგასავარამ საქდესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ ახლანდელ არჩევნებში იაპონელმა ხალხმა მხარი დაუჭირა ბრძოლას იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების" წინააღმდეგ და ნეიტრალიტეტის პოლიტიკისათვის. იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩევნების საკითხთა განყოფილების გამგემ კამეიამამ პარლამენტში კომუნისტური პარტიის დეპუტატებისა და იაპონიის კომპარტიისათვის მიცემული ხმების რიცხვის გადიდება დაახასიათა როგორც დიდი გამარჯვება, მოპოვებული მმართველი წრეების ცილისწამებისა და რეპრესიების მიუხედავად.

უმსგავსო ჟესტი

ჰააგა, 20 ნოემბერი. (საქდესი). ქალაქ უბერგენში გუშინ ოფიციალურად გაიხსნა საერთაშორისო ზონალური საჭადრაკო ტურნირი. ტურნირში მონაწილეობა უნდა მიიღოს 17 დიდოსტატმა და საერთაშორისო ოსტატმა 15 ქვეყნიდან. მაგრამ შეჯიბრების დასაწყისი აღინიშნა ჰოლანდიის ხელისუფალთა უმსგავსო მოქმედებით, რომლებმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ დიდოსტატ ულმანს განუცხადეს, რომ მას უარი ეთქვა ჰოლანდიაში შესასვლელ ვიზაზე, და წინადადება მისცეს დაუყოვნებლივ დაეტოვებინა ჰოლანდია.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჰოლანდიელ ხელისუფალთა ამ მტრულმა აქტმა საერთო აღშფოთება გამოიწვია. პროტესტის ნიშნად ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და უნგრეთის მოჭადრაკეებმა განაცხადეს, რომ უარს ამბობენ ტურნირში მონაწილეობაზე. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ტურნირის მონაწილეთა წილისყრა გადადებულია, და ახლა იღებენ ღონისძიებებს ჰოლანდიის ხელისუფალთა მიერ შექმნილი კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის.

22 ნოემბერი

თეატრები: ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — მხატვრული თვითმოქმედების მე-9 რესპუბლიკური ოლიმპიადა — რაიონების სიმღერისა და ცეკვის ანსამბლების ჩვენება, **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ჩოხატაურის სახალხო თეატრის წარმოდგენა — სტუმარ-მასპინძლობა, **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუტსკის ისტორია, **მუსიკალური კომედიის** — ტრფობის ბაღში (1-ლი აბონ. 1-ლი წარმ. სომხური დრამის თეატრში), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — სახიფათო მიჯნასთან (აბონ. № 54, 7 ს.).

ტელევიზია. 19.00 — სკოლების დასახმარებლად — „სადურგლო სამუშაოების წარმოება" (სასწავლო კურსი მანქანათმშენებლობაში. გაგრძელება), 19.15 — გადაცემა — „მუსიკალური კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკა", 19.30 — კინონარკვევი, 19.50 — ახალი ამბები, 20.00 — რესპუბლიკური ოლიმპიადის ტრანსლაცია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები:
თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 8-63-03, 8-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 8-72-80. ხაზმდივნისა — 8-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 8-32-46, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილების — 3-73-24, ინფორმაციის — 3-16-90, საილუსტრაციო — 3-20-43, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42.
უე 07911
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.